ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
სტიქიური მოვლენები
10 ლარი




9 — 10 ნოემბერი, 2013 №266 (6267) ფასი: 30 თეთრი



## ირაკლი ღარიბაშვილი: „თეა წულუკიანი და ირაკლი ალასანია მთავრობაში დარჩებიან“

გვ.3

ვინ არის მომავალი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე



## ნინო ბურჯანაძე: „კაბილაშვილის წასვლამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა“

გვ.6





გვ.5

## გია ბარამიძე: „მთავრობაში არაპროფესიონალები არ გვინდა“

„თუ ვინმემ რამე იცით, დაეხმარეთ პროკურატურას ჟვანიას საქმის გამოძიებაში“



გვ.2

## ფანჯიკიძე აფხაზეთში ქართული ძეგლების მდგომარეობით შეშფოთებულია

## გიორგი მარგველაშვილი ახალი მთავრობის ფორმირებაში არ ერევა

გვ.2



## ვინ გამოისყიდის პრივატიზებულ სკოლებს?

გვ.4





გვ.4

## რატომ შეამცირეს საკრებულოს თანამშრომლები

ISSN 1987-9385

## ვაჟა ოთარაშვილი: „დღეს საქართველოს ამერიკა მართავს“

გვ.2



## ლევან ბერძენიშვილი: „მხოლოდ რამდენიმე მინისტრი შეიცვლება“

გვ.5



# გიორგი მარგველაშვილი ახალი მთავრობის ფორმირებაში არ ერევა

ნათია ხურცილავა

**არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან აგრძელებს შეხვედრებს. თუმცა, ელჩებთან დიპლომატიურ საუბრებამდე, მეგობარი სახელმწიფოების მეთაურებისგან მილოცვების მიღებამდე, გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. პრესას მომავალი პრეზიდენტისგან აინტერესებდა, განახლდება თუ არა მინისტრთა კაბინეტი და როგორი შეიძლება იყოს ახალი გუნდი, რომელსაც სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს. ვინ გადავა ახალ მინისტრთა კაბინეტში და ვინ დარჩება კაბინეტს მიღმა? ეს, ალბათ, ჯერჯერობით მთავარი კითხვაა. ღარიბაშვილი საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით აუჩქარებლად მოქმედებს.**

მარგველაშვილი მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში არ მონაწილეობს. მისი განცხადებით, მთავრობის ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე მომავალი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აქტიურად მუშაობს და მას ამისთვის დრო უნდა მიეცეს. მან მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციებს ჭორი უწოდა.

— ჭორებზე კომენტარის გაკეთება ჩემი საქმე არ არის. მოგეხსენებათ, ქვეყანას ჯერჯერობით ჰყავს მოქმედი პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ასევე ჰყავს წარდგენილი პრემიერი, რომელიც ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე უაღრესად აქტიურად მუშაობს. ირაკლი ღარიბაშვილს უნდა მივცეთ დრო და შესაძლებლობა, რომ ამ მიმართულებით წყნარად იმუშაოს. მე ამ პროცესში არ უნდა ჩავერიო და კომენტარები არ უნდა გავაკეთო, — განაცხადა მარგველაშვილმა.

არჩეული პრეზიდენტი დასძენს, რომ ის პატივს სცემს ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავს იგი მომავალ მთავრობას. მარგველაშვილი საკადრო საკითხებში არ ერევა და, შესაბამისად, მისთვის უცნობია, ვინ შეიძლება ვიხილოთ ახალ კაბინეტში და ვინ — ვერა.

გიორგი მარგველაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებაც შეაფასა. არჩილ კბილაშვილს, როგორც თავად ამბობს, ურთულეს პერიოდში მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი შეფასებით, კბილაშვილი კარგი თანამებრძოლი იყო.

— როცა ჩვენ ყველა ოპოზიციაში ვიყავით, ის ურთულეს თემებს წყვეტდა. შემდეგ, ჩემი აზრით, მან მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ურთულეს პერიოდში იმუშავა და მინდა, მადლობა ვუთხრა თავისი ორწლიანი საქმიანობისთვის, რომელიც მან კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და ჩვენი სამშობლოს სამსახურში გასწია, — განაცხადა მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილის პირველი საერთაშორისო ვიზიტი საქართველოს პრეზიდენტის რანგში ვილნიუსის სამიტი იქნება. სწორედ ჩვენი ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან სამიტზე საქართველოს პირველად წარადგენს მარგველაშვილი, სადაც გამოჩნდება, თუ რა გზავნილები ექნება მას დასავლეთისთვის და, ამავდროულად, საქართველოს მოქალაქეებისთვის.

როგორც მარგველაშვილი აცხადებს, ვილნიუსის სამიტის შემდეგ უაღრესად სერიოზული ერთწლიანი პერიოდი იწყება.

საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა საქართველოში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან გამართული შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა.

როგორც მარგველაშვილმა აღნიშნა, დიპლომატებმა მათი პრეზიდენტების მილოცვა გადასცეს.



— მივიღე ჩემი კოლეგებისგან მოლოცვები. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ ვილნიუსის სამიტზე და ასევე, მის შემდგომ პერიოდზე. სამიტის შემდეგ უაღრესად სერიოზული ერთწლიანი პერიოდი იწყება, როდესაც საქართველოს ძალიან ბევრი სამუშაო ექნება იმისთვის, რომ ვილნიუსის სამიტის მიღწევა — ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პარაფირება რეალურად შედგეს. ამ ყველაფერს ერთწლიანი მუშაობა დასჭირდება, რათა 2014 წლის სექტემბერში ამ ხელშეკრულების ხელმოწერას მივაღწიოთ, — განაცხადა მარგველაშვილმა.

საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა ჟურნალისტებთან თავიანთი შეხედულებები დააფიქსირეს ჩატარებულ არჩევნებზე და არჩეულ პრეზიდენტზე.

— მივიღეთ დასტური მარგველაშვილისგან, რომ საქართველოს გზა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ გაგრძელდება, — აცხადებს პოლონეთის ელჩი საქართველოში.

საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ანდჟეი ჩიეშკოვსკიმ ახლად არჩეულ პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან გამართული შეხვედრის შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

როგორც ელჩმა აღნიშნა, შეხვედრა საინტერესო იყო და მნიშვნელოვანია, რომ ეს მარგველაშვილის ინაუგურაციამდე შედგა.

— ჩვენ მივიღეთ დასტური გიორგი მარგველაშვილისგან იმის შესახებ, რომ საქართველოს გზა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ, როგორიც არის ნატო და ევროკავშირი, გაგრძელდება. ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოს რეფორმების გატარების პროცესში, — განაცხადა ჩიეშკოვსკიმ.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ელჩის შეფასებით, ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმის დასტურად, რომ საქართველო რეალურად ვითარდება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო.

ანდჟეი ჩიეშკოვსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის, ვინ დაესწრება გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას პოლონეთიდან.

შეხვედრები დიპლომატებთან სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა. შეხვედრაზე დიპლომატიური საკითხების გარდა ეკონომიკური საკითხები იქნა განხილული. როგორც დახურულ კარს მიღმა დიპლომატებთან არჩეულმა პრეზიდენტმა გვითხრა, დემოკრატიის კონსოლიდაციის გზა ეკონომიკაზე გადის.

მისივე თქმით, დიპლომატებთან შეხვედრისას ეკონომიკური პროექტების განხორციელების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

— ჩვენი დემოკრატიის კონსოლიდაციის რეალური გარანტი ეკონომიკის ზრდაა და, ბუნებრივია, ამ ნაწილში ჩვენ თანამშრომლობას აქტიურად დავიწყებთ ჩვენს ევროპელ კოლეგებთან, — აღნიშნა მარგველაშვილმა.

რაც შეეხება ვილნიუსის სამიტზე საქართველოდან წამსვლელი დელეგაციის შემადგენლობას, მარგველაშვილის თქმით, იგი დელეგაციის ხელმძღვანელი იქნება, თუმცა მასთან ერთად ვინ გაემგზავრებიან, ეს უკვე მოგვიანებით გახდება ცნობილი.

საქართველოში თურქეთის ელჩმა გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაზე ქვეყნის ენერგეტიკულ პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც ჟურნალისტებს ლევენთ მურათ ბურჰანმა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, მან საქართველოსა და თურქეთს შორის სამაგალითო ურთიერთობებზე ისაუბრა. თურქეთის ელჩმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობა ენერგეტიკის სფეროში.

— მარმარისში უკვე გაიმართა პრეზენტაცია იმისა, რომ ბოსფორის სრუტის ქვეშ გაიჭრება გვირაბი და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ფაქტობრივად, პეკინი-ლონდონის დამაკავშირებელი რკინიგზის შემადგენელი ნაწილი იქნება, — განაცხადა ელჩმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას მხარს უჭერს.

კიდევ ერთმა ელჩმა განაცხადა, რომ საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოვიდა. როგორც ივან იესტრჟაბმა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტთან გიორგი მარველაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, შეხვედრაზე საუბარი, სხვა საკითხებთან ერთად, ვილნიუსის სამიტსაც ეხებოდა.

— ვილნიუსის სამიტი იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. არაერთხელ უნდა აღინიშნოს ის, რომ როგორც შარშანდელმა საპარლამენტო არჩევნებმა, ისე ამ წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრციდან უკვე გამოვიდა, — განაცხადა ელჩმა და დასძინა, რომ ქვეყანა დემოკრატიული თვალსაზრისით განვითარდა.

როგორც იესტრჟაბმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, იგი საქართველოში თავის 6-წლიან მოღვაწეობას ასრულებს და პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ქვეყანაში ახალი ელჩი ჩამოვა.

საქართველოში იტალიის ელჩის შეფასებით, ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესი სწრაფად ვითარდება და საქართველო ამ გზაზე წინ მიიწევს. ფედერიკა ფავი საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდა.

იტალიელმა დიპლომატმა იტალიის პრეზიდენტის სახელით მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე ისაუბრა.

— ჩვენ დემოკრატიზაციის პროცესზე ვისაუბრეთ, რომელიც საქართველოში ასე სწრაფად ვითარდება. რაც შეეხება ორმხრივ ურთიერთობებს, იტალია და საქართველო ძველი მეგობრები არიან და გვსურს ურთიერთობების გაღრმავება. რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენ ვითანამშრომლებთ საქართველოსთან, ამ ქვეყნის მთავარ მიზანთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას გააგრძელებს, — განაცხადა ფავიმ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს შეეხო. იტალიის ელჩმა აღნიშნა, რომ იტალიური კომპანიები ქართული ბაზრით დაინტერესებულნი არიან.

# ფანჯიკიძე აფხაზეთში ქართული ძეგლების მდგომარეობით შეშფოთებულია

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საფრანგეთში შეხვედრები გამართა. როგორც პრესისთვის გახდა ცნობილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის ევროპულ საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას ვილნიუსის სამიტი და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. მხარეებმა საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზეც ისაუბრეს. მინისტრმა საფრანგეთის ხელისუფლებას არჩევნებში დამკვირვებლების გამოგზავნისათვის მადლობა გადაუხადა.

ფანჯიკიძე ვიზიტის ფარგლებში იუნესკოს გენერალურ დირექტორს უკვე შეხვდა. მინისტრმა ასევე მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციაში.

მინისტრმა თავის სიტყვით გამოსვლაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით არსებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება.

საგარეო საქმეთა მინისტრისა და ორგანიზაციის გენერალურ დირექტორის ირინა ბოკოვას შეხვედრა პარიზში, იუნესკოს სათავო ოფისში გაიმართა.

მაია ფანჯიკიძემ ირინა ბოკოვას იუნესკოს გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მისი



კანდიდატურის მეორე ვადით წარდგენა მიულოცა და ორგანიზაციას საქართველოს მიმართ წლების მანძილზე გაწეული ფინანსური და საექსპერტო დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა.

— იუნესკოს ეგიდით საქართველოში ძალიან ბევრი პროექტია განხორციელებული. ჩვენ გვსურს, რომ წელს ქართული ღვინის წარმოების ტრადიცია, რომელსაც ჰქვია ქვევრის ღვინო, შევიტანოთ იუნესკოს არამატერიალური ფასეულობების სიაში. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება დეკემბერში ბაქოში და ამისთვისაც, რასაკვირველია, საჭიროა მსგავსი შეხვედრების ჩატარება. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს პრეტენზია, იუნესკოს რამდენიმე კომიტეტში ვიყოთ, ჩვენი რამდენიმე კანდიდატურა წარვადგინოთ და აქაც მხარდაჭერა გვჭირდება, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

შეხვედრაზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საგარეო საქმეთა მინისტრმა, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე ისაუბრა და იუნესკოს მათი დაცვისკენ მოუწოდა.

მინისტრმა კვლავ მიმართა თხოვნით ორგანიზაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესაფასებლად საქართველოში იუნესკოს ექსპერტთა ტექნიკური მისიის მივლინების თაობაზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილი: „თეა წულუკიანი და ირაკლი ალასანია მთავრობაში დარჩებიან“

## ვინ არის მომავალი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე

**პრემიერობისთვის განწირულმა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ერს პატარა საკადრო სიურპრიზი შესთავაზა. მან გვახარა, რომ მთავარი პროკურორის პოსტს ოთარ ფარცხალაძე დაიკავებდა. არადა, საპარლამენტო უმრავლესობას ეჭვი ჰქონდა, რომ ამ თანამდებობაზე ლაშა ნაცვლიშვილი დაინიშნებოდა. მთავარი პროკურატურის „ხაზეინი“ ხომ ფაქტიურად ეგ იყო.**

სახელისუფლებო კულუარებში ამ პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილი და მაია მწარიაშვილიც მოიაზრებოდნენ. დასახელდა სხვათა გვარებიც. ამ დროს არც ერთ მათგანს გონივრული ეჭვიც კი არ გასჩენია, რომ ამ პოსტზე ღარიბაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროს ოთარ ფარცხალაძეს წარადგენდა.

### ვინ არის ახალი მთავარი პროკურორი

საპარლამენტო უმცირესობა და უმრავლესობა ღარიბაშვილის ამ ინიციატივას დიდი ჟრიამულით არ შეხვედრიან. უმრავლესობის წევრებმა, გასაგები მიზეზების გამო, მოკრძალებულად აღნიშნეს, რომ ფარცხალაძე კარგი პროკურორი იქნება. ნაციონალებმა კი ამ გვარის გაგონებაზე ღაწვები დაიხოკეს.

ონავარ ნაციონალებსაც ნაცვლიშვილისა და მწარიაშვილის წარდგენა გაუხარდებოდა. ზაქარია ქუცნაშვილსაც მოსდებდნენ რაიმე შარს, ბოლოს და ბოლოს, თმის ვარცხნილობის გამო უსაყვედურებდნენ. ოთარ ფარცხალაძესთან კი მართლა სერიოზული პრეტენზიები აქვთ.

ნაციონალებსა და მთელ საქართველოსაც კარგად ახსოვს ამ ზაფხულს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც შუაღამის დროს თბილისის მერიისა და საკრებულოს 22 მაღალჩინოსანი შებოჭეს და დასაკითხად წაიყვანეს. რამდენიმე გისოსებს მიღმა გაუშვეს, უმეტესობა კი სახლებში დააბრუნეს.

ამ ღონისძიებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ნაციონალებმა სცადეს, წამებულის მანტია საერთაშორისო მასშტაბით მოესხათ. იმ სპეცოპერაციის დროს საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი სტუმრობდა.

სხვათა შორის, მაშინ გაჩნდა ეჭვი, რომ ამ სპეცოპერაციის უკან თავად ნაციონალები იდგნენ, რადგანაც ეს ხმაურიანი დაკავება თბილისში ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის ვიზიტს დაემთხვა. სასაცილო და იმავდროულად სატირალი ის იყო, რომ დილით დაკავებული და რამდენიმე საათში გათავისუფლებული თბილისის საკრებულოსა და მერიის მაღალჩინოსნები ფინანსურმა პოლიციამ საღამოს ისევ დააპატიმრა.

ფინანსური პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 27 ივნისის დილით მაღალჩინოსნების დაკავების მიზეზი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 50 მლნ ლარის გაფლანგვა გახდა.

ფარცხალაძის უწყებაში დაკითხვაზე დავით ალავიძე – თბილისის მერის მოადგილე, დავით ნინიძე – თბილისის მერის მოადგილე, მამუკა ახვლედიანი – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნოდარ სანდუხაძე – გლდანის რაიონის გამგებელი, ლექსო თაბუაშვილი – თბილისის მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი, დავით ავალიანი – თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი, ვახტანგ ცაგარეიშვილი – თბილისის საკრებულოს წევრი, ბესო კვიციანი – ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე, გიორგი ნიკოლაძე – კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ლევან ნებიერიძე – ისნის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, ზურა კიკვაძე – ისნის რაიონის განყოფილების უფროსი, ავთო სულაბერიძე – ლილოს მუნიციპალიტეტის უფროსი, ნიკო აბრამიშვილი – ლილოს მუნიციპალიტეტის უფროსის მოადგილე, ბექა მეშვილდიშვილი – სამგორის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, ვახტანგ გაგუა – საბურთალოს რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, მიხეილ ქვირია – საბურთალოს რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, ნიკოლოზ ღვინიანიძე – ავჭალის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მამუკა ბერაძე – გლდანის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე ჩაფიჩაძე – ავჭალის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, გიორგი დარჩია – ნაძალადევის რაიონში ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი, დიმიტრი ჩხეიძე – მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე, ზაზა გუდიაშვილი – ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანამშრომელი, მამუკა თევზაძე იმყოფებოდნენ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განმარტეს, რომ ისინი მოწმის სახით დაიკითხნენ. თუმცა ეს



პირები და მათი ადვოკატები აცხადებდნენ, რომ ისინი ხელბორკილებით მიიყვანეს საგამოძიებო სამსახურში, აპირებდნენ მათ დაპატიმრებას, რაც შემდგომ გადაიფიქრეს და მათ მიმართ დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა, რომლებმაც მომხდარი პოლიტიკურ დევნად შეაფასეს, განაცხადეს, რომ მთავრობამ, სავარაუდოდ, იმიტომ გადაწყვიტა დაკავებულების გათავისუფლება, რომ თავიდან აეცილებინა სკანდალი, რადგანაც სწორედ იმ დღეს საქართველოს ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ორდღიანი ვიზიტი მთავრდებოდა. 27 ივნისს ღამით საგამოძიებო სამსახურმა დილით გათავისუფლებული 23-კაციანი ჯგუფიდან ოთხი მაღალჩინოსანი, მათ შორის თბილისის მერის მოადგილე, დააკავა 49 მლნ ლარამდე საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით.

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მაშინ განაცხადა, რომ გარკვეულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი.

– მთავარი ჩემთვის არის ის, რომ მანამდე სანამ საქმე იქნება შესწავლილი, ჩემთვის არის ძალიან ცხადი, რომ ის ფორმები, როგორც მოხდა ამ ადამიანების დაკავება, არის ღირსების შემლახავი, მხოლოდ და მხოლოდ ფორმებზეა აქ საუბარი და კითხვის ნიშნებს ვსვამთ, რამდენად ლეგიტიმური და რამდენად ადეკვატური იყო საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ ფორმების გამოყენება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებზე, – განაცხადა ნანუაშვილმა.

28 ივნისს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველომ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ საგამოძიებო სამსახურის სავარაუდოდ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებები ჩრდილს აყენებს თბილისის მერიის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე საქმის გამოძიებისადმი ნდობას.

– გვსურს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს შევახსენოთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადამიანის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის და იძულების ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება. საპროცესო კოდექსი ცალსახად კრძალავს მიყვანის, როგორც იძულების ღონისძიების გამოყენებას, მაშინ როცა პირს წინასწარ არ მისცეს საგამოძიებო ორგანოში ნებაყოფლობით გამოცხადების შესაძლებლობა. მოულოდნელი ხასიათის საპროცესო ღონისძიებები, როდესაც ადამიანმა არ იცის, თუ რა სურს მისგან საგამოძიებო ორგანოს და რატომ ხდება მის მიმართ იძულების გამოყენება, არა მარტო არღვევს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, არამედ ეჭვქვეშ აყენებს საქმეზე ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარების ლეგიტიმურ ინტერესებს და მომავალში სამართლიანი სასამართლოს უფლებით ჯეროვნად სარგებლობის შესაძლებლობას, – ნათქვამია განცხადებაში.

სამი ორგანიზაციის განცხადებით, გაუგებარი დარჩა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა იძულებით მიყვანა, შემდეგ გათავისუფლება, ხოლო საღამოს საათებში ოთხი პირის კვლავ დაკავება, რაზეც საგამოძიებო სამსახურმა საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს დამაჯერებელი და სამართლებრივად დასაბუთებული პასუხი ვერ გასცა.

23 ნაციონალის აწიოკების ამბავი მომავალ პროკურორს გუშინ დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმაც გაუხსენა. როგორც ნადირაშვილი აცხადებს, პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაკონტროლებელი ზედამხედველობითი ორგანო, რომელიც ასეთად ვეღარ დარჩება და ის გადაიქცევა შსს-ს ჩვეულებრივ დანამატად.

– ამ ტენდენციაზე როდესაც ვსაუბრობ, ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ახალი მთავარი პროკურორის შესახებ გავრცელდა არა იუსტიციის მინისტრისგან, არამედ შსს მინისტრის პრესმდივნისგან. რაც შეეხება თავად ოთარ ფარცხალაძეს, ის იყო იმ სპეცოპერაციის ავტორი, როდესაც თბილისში რასმუსენი იმყოფებოდა, მან საკრებულოს ოცდაორი წევრი და გამგებელი სახლებიდან გაიტაცა, ზოგი დაკითხვაზე მიიყვანა, ზოგი თბილისის ქუჩებში ასეირნა, დაიჭირა, შემდეგ გამოუშვა, ამიტომ მის პოლიტიკურ ალღოზე დასკვნები თავად გამოიტანეთ, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

პრემიერ-მინისტრს არ წარმოუდგენია თავისი სამთავრობო გუნდი და მთავარი პროკურორის კანდიდატურა, ეს ყველაფერი არის მხოლოდ წინასწარი მონაცემები – ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური, მთავარი პროკურორის პოსტზე ირაკლი ფარცხალაძის კანიდატურას, როგორც ზვიად ძიძიგურმა „პირველი რადიოს“ რადიოკლუბში განაცხადა, ის ოთარ ფარცხალაძეს პირადად არ იცნობს, თუმცა ფაქტი, რომ მას ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან მაღალი ნდობა აქვს გამოცხადებული, ნიშნავს იმას, რომ ის კვალიფიციურად მუშაობდა.

– ალბათ, ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატი ოთარ ფარცხალაძეა, თუმცა ასე გადაწყვეტილად სანამ ჯერ მთავრობის ნდობის საკითხი არ გადაწყვეტილა და პრემიერ-მინისტრს არ წარმოუდგენია თავისი სამთავრობო გუნდი და მთავარი პროკურორის კანდიდატურა ეს ყველაფერი არის მხოლოდ წინასწარი მონაცემები. ვფიქრობ, ამ თემებზე მკითხაობასა და ჭორაობას გაცილებით სჯობია, რამდენიმე დღე დაველოდოთ და ჩვენ ვნახავთ, როგორი იქნება ახალი სამთავრობო გუნდი და ვინ იქნება მთავარი პროკურორი და ა.შ. ჩვენ გვაქვს წესი კოალიციაში მუშაობის, რომ პოლიტსაბჭოზე გადის ხოლმე საკითხები, მათ შორის, ის საკითხები, რომელიც კოალიციის პასუხისმგებლობის საკითხებს და, აქედან გამომდინარე, სამთავრობო ცვლილებებს შეეხება. კოალიციის საბჭო ჩატარდება და რამდენიმე დღეში ჩვენ შეგვეძლება, უკვე სრულიად ნათელი წარმოდგენა გვქონდეს, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

გუშინ ფარცხალაძის მიმართ კიდევ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. მომავალი პრემიერი კი დარწმუნებულია, რომ ფარცხალაძე კარგი მთავარი პროკურორი იქნება.



### ალასანია და წულუკიანი მთავრობაში რჩებიან

ერი და ბერი მთავრობაში რადიკალურ ცვლილებებს ელოდება. ერთ-ერთი ვერსიით, თანამდებობას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაც დატოვებს. მას ირაკლი ღარიბაშვილთან უთანხმოებები აქვს.

გუშინ ირაკლი ღარიბაშვილმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი ეყოლება.

– თეა წულუკიანიც და ირაკლი ალასანიაც ახალ მინისტრთა კაბინეტში თანამდებობებს შეინარჩუნებენ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილის განმარტებით, ძირეული გადაადგილებები მთავრობაში არ იგეგმება.

– მთავარი ცვლილებები არის, რომ ჩვენ გვეყოლება ახალი მთავარი პროკურორი და ჩემი შემცვლელი. ის იქნება ძალიან ღირსეული, ახალგაზრდა ადამიანი. მე ის უკვე შერჩეული მყავს და გავიარე კონსულტაციები ბატონ პრემიერთან. თუმცა, მის ვინაობას მოგვიანებით შეგატყობინებთ, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

### კბილაშვილი – უკბილო პროკურორი თუ ჯალათი

მთავარი პროკურორის პოსტიდან არჩილ კბილაშვილის გადადგომას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამბობენ, რომ მან თანამდებობა ირაკლი ღარიბაშვილთან უთანხმოების გამო დატოვა.

მომავალმა პრემიერმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კბილაშვილთან არანაირი უთანხმოება არ აქვს.

– ჩემსა და არჩილს შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

2 დღის წინ ჯერაც მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ მასსა და მომავალ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის უთანხმოება არ არსებობს. მისი თქმით, ირაკლი ღარიბაშვილთან მას ღირსეული და კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდა.

– მინდა, გავაკეთო განცხადება საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, რატომ მივდივარ წინდაწინ, მინდა ვთქვა, რომ არავითარი უთანხმოება ჩემსა და მომავალ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის არ არსებობს. ჩვენ ერთმანეთის გვერდით მოგვიწია მუშაობა 1 წლის განმავლობაში. ღირსეული და კოლეგიური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. არაერთი დღე და ღამე გაგვიტარებია ერთად დანაშაულთან ბრძოლისთვის. ირაკლი ღირსებითა და წესიერებით სავსე ადამიანია. ჩვენ გვაქვს განსხვავებული შეხედულებები პრიორიტეტებთან და სამართალდაცვით სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით, – განაცხადა კბილაშვილმა.

არც მისი და არც ღარიბაშვილის განცხადება ერმა არ დაიჯერა. საქართველოში დღემდე სჯერათ, რომ კბილას მომავალ პრემიერთან სერიოზული უთანხმოება აქვს.

არჩილ კბილაშვილი თანამდებობას 17 ნოემბერს დატოვებს, მანამდე კი ქვეყნის მთავარი პროკურორი ისევ ის იქნება.

მოქმედი მთავარი პროკურორის მისამართით ბევრი პრეტენზია გამოითქვა. მას ძირითადად იმას საყვედურობდნენ, რომ ზედმეტად ჰუმანური და უკბილო პროკურორი იყო.

პატიმრობაში მყოფმა ვანო მერაბიშვილმა მას ოპონენტების ჯალათი და ჯალათების ადვოკატი უწოდა. კბილაშვილთან დაკავშირებული განცხადება მერაბიშვილმა „ფეისბუქით“ გაავრცელა.

– მინდა, გამოვეხმაურო მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გადადგომას. ამ ადამიანმა პროკურატურა აქცია ივანიშვილის პირადი შურისძიების ინსტრუმენტად. უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში პროკურატურა ასრულებს ივანიშვილის პირად დავალებებს, რაც გულისხმობს პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას, ალტერნატიული აზრის მოსპობას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლასა და მისი პოლიტიკური სივრციდან გაქრობას.

ამავე დროს, კბილაშვილმა თავის თავზე აიღო მწამებელი ვლადიმერ ბედუკაძის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, რითაც დაფარა ბედუკაძისა და მისი ჯგუფის თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასთან“. მისი საქმიანობა მოკლედ შეიძლება შეფასდეს, რომ იგი იყო ოპონენტების ჯალათი და ჯალათების ადვოკატი. მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია, წავიდეს, – აღნიშნულია მერაბიშვილის განცხადებაში.

# რატომ შეამცირეს საკრებულოს თანამშრომლები

მერი ნამორაძე



საკრებულოს უმცირესობა გათავისუფლებულ თანამშრომელთა უფლებების დასაცავად ბრძოლას ახალი შემართებით იწყებს. რა თქმა უნდა, იმ თანამშრომლებზეა საუბარი, თავის დროზე ნაციონალების გულშემატკივრობა რომ არ დაეფიქსირებინათ, ვერაფრით მოიპოვებდნენ სამუშაო ადგილს საკრებულოში. უმრავლესობის უმცირესობაში გადაბარგებას საკადრო ცვლილებებიც მოჰყვა, რასაც დღემდე აპროტესტებენ ნაციონალური მოძრაობის ფრაქციები. გუშინ საკრებულოს უმცირესობის წევრები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნას გამოეხმაურნენ და იმ რეორგანიზაციის უკანონობაზე ისაუბრეს, რომლის შედეგად საკრებულოდან თანამშრომელთა გათავისუფლება მოხდა. უმცირესობის დეპუტატებმა თემურ გრიგალაშვილმა და თამაზ შოშიაშვილმა იმედი გამოთქვეს, რომ სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ობიექტურ განაჩენს გამოიტანს.

— სექტემბერში საკრებულოს აპარატიდან რამდენიმე ათეული ადამიანი იქნა გათავისუფლებული. ჩვენ იმთავითვე ვაცხადებდით, რომ ეს გათავისუფლება იყო უკანონო და გამოცხადებული რეორგანიზაცია უმრავლესობის მხრიდან თვალთმაქცობა გახლდათ. გათავისუფლებული ადამიანების ნაცვლად მათ ადგილზე დაინიშნნენ სხვა, მათთვის სასურველი კანდიდატები. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განაცხადა, რომ გათავისუფლება იყო უკანონო და საია გათავისუფლებულ ადამიანთა ინტერესებს სასამართლოში დაიცავს. მოგეხსენებათ, საჩივარი უკვე შეტანილია. ჩვენ, ამავდროულად, წერილობით მივმართეთ სახალხო დამცველს და უახლოეს დღეებში მის რეაგირებას ველოდებით. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ შტატები არ შემცირებულა და, პირიქით, გაიზარდა. მთელი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა შტატებით მანიპულირება. რეორგანიზაცია 16 აგვისტოს გამოცხადდა, 19 აგვისტოს კი შტატები სამი ერთეულით გაიზარდა, — განაცხადა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეფორმატორების" თავმჯდომარე თემურ გრიგალაშვილმა.

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა — განახლებული თბილისის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილმა აღნიშნა, რომ უახლოეს საკრებულოს სხდომაზე აპირებენ აპარატის უფროს გიორგი ფიცხელაურის გადაყენების საკითხის დაყენებას. აპარატის უფროსი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი და უმრავლესობის მიერ დამტკიცებული თანამდებობის პირია, რომელმაც უკანონოდ 22 თანამშრომელი გაათავისუფლა. უკანონობის გადაფარვას კი იმ სიცრუით ცდილობდა, რომ შტატების გაზრდა არ მოხდებოდა და კანონიერად ხდებოდა საშტატო ნუსხის შემცირება.

გუშინვე გამოეხმაურა უმცირესობის წევრებს საკრებულოს დეპუტატი კოკი იონათამიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ რეორგანიზაციას საფუძვლად კონკრეტული ფაქტები დაედო, რომლის მიხედვით, გარკვეული თანამშრომლები თავს არიდებდნენ სამსახურებრივ პასუხისმგებლობას, არ ცხადდებოდნენ სამსახურში ან ასრულებდნენ სხვა ფუნქციას და რეალურად სხვა თანამდებობებზე იყვნენ გაფორმებულნი. ასე რომ, რეორგანიზაცია სავსებით კანონიერად და გამჭვირვალედ ჩატარდა.

— რეორგანიზაციას, რომელიც კანონიერად განხორციელდა და რომელსაც უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, საფუძვლად დაედო ერთი თვის მიმდინარე საქმიანობა. არაერთი ფაქტი იყო იმისა, რომ ადამიანები სამსახურში არ დადიოდნენ, რეალურად იყვნენ მძღოლები და ამ დროს გაფორმებულნი იყვნენ მთავარ სპეციალისტებად. იყო სხვა ფაქტებიც, იგივე არაპროფესიონალიზმი, რის გამოც ზოგიერთს მიეცა შენიშვნა და მათი გაუთვალისწინებლობის შემდეგ მოხდა გათავისუფლება თანამდებობებიდან. რაც შეეხება შტატების მომატებას, მინდა გითხრათ, რომ, პრეზიდენტის ბრძანებულებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ადრე იყო მერიის დაქვემდებარებაში, ახლა საკრებულოს დაექვემდებარა. რადგან კომისია საკრებულოს დაქვემდებარებაში გადმოვიდა, შტატები საკრებულოს მიეწერა, — აღნიშნა დეპუტატმა. საკრებულომ შექმნა ასევე აიტის განყოფილება, სადაც პროფესიონალები დასაქმდნენ.

# ვინ გამოისყიდის პრივატიზებულ სკოლებს?

მერი ნამორაძე

**პრივატიზებული თუ განათლების სამინისტროს ბალანსიდან სხვა უწყების ბალანსზე გადაცემული საჯარო სკოლების ბედით საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისია დაინტერესდა. კომისიის თავმჯდომარე, კახა კუკავა აცხადებს, რომ ეს იყო ერთ-ერთი მსხვილი კორუფციული სქემა წინა ხელისუფლების პირობებში, როცა ჩალის ფასად იყიდებოდა მნიშვნელოვანი სოციალური ობიექტები – სკოლებისა და პოლიკლინიკების შენობები. რატომ მაინცდამაინც ეს შენობები? იმიტომ, რომ კომუნისტები ყველაზე კაპიტალურად ამ შენობებს აგებდნენ.**



— ყველა შენობა არის კაპიტალური ნაგებობა თავისი გამწვანების ზონით, რეკრიაციულ ტერიტორიებზე, გზის პირას. აქედან გამომდინარე, თვალი დაადგა სააკაშვილმა და ჩათვალა, რაში სჭირდება სკოლას ასეთი კარგი შენობები, როცა აქ შეიძლება გაკეთდეს სასტუმრო. ცალკე თემაა, რომ ეს ყველაფერი გაიყიდა ჩალის ფასად, — განუცხადა ჟურნალისტებს კუკავამ.

კომისია დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევს განათლების სამინისტრო პრივატიზაციის პროცესს და რა შეიძლება გაკეთდეს შენობების გამოსასყიდად. კუკავამ არ გამორიცხა, რომ თბილისის ბიუჯეტმა ეს სახსრები შეიძლება გაითვალისწინოს და მშობლებსა და მოსწავლეებს საჯარო სკოლები დაუბრუნოს. რამდენად ამოუდგება მხარში ფინანსურად განათლების სამინისტრო ამ ინიციატივას, ჯერჯერობით უცნობია.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამინისტროს სამართლებრივი ბერკეტები კერძო სექტორში გადასული სკოლების დასაბრუნებლად არ გააჩნია. 12 კერძო სკოლიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში – 187-ე და 111-ე საჯარო სკოლების გაყიდვისას გამოიკვეთა დარღვევები და საქმეები განსახილველად პროკურატურას გადაეცა. დანარჩენ 10 შემთხვევაში კანონდარღვევა პრივატიზების პროცესში არ იკვეთება.

გუშინ საკრებულოს სხდომას 187-ე სკოლის ყოფილი პედაგოგები სტუმრობდნენ, რომლებიც დღემდე ამაოდ ცდილობენ სამართლის პოვნას. ბოლო იმედი მათთვის საკრებულო აღმოჩნდა. როგორც ინგლისური ენის პედაგოგმა მარინე კორძახიამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, 2011 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით გაიყიდა მათი სკოლა, სადაც 700 მოსწავლე სწავლობდა, მსოფლიო ბანკის მიერ იყო გარემონტებული და სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა.

**მარინე კორძახია:**

— დიდი დიღმის მეორე მიკრორაიონში ერთადერთი საჯარო სკოლა იყო. ეს არის მზარდი მიკრორაიონი. შენობის მყიდველმა კერძო სკოლად აქცია საჯარო სკოლა, სკოლა ჩადო „თი-ბი-სი" ბანკში და დღემდე იხდის ბანკის პროცენტებს ბავშვების ვაუჩერებითა და ჩვენი ხელფასებით. ხელფასი დაგვენიშნა 2,40 ლარი საათში. 2 წლის განმავლობაში ვუდექით ამ ქალს მხარში, რაღაც უკეთესობა რომ გვეგრძნო. მშობლებმა, ბავშვებმა, პედაგოგებმა არაერთხელ მოვაწყვეთ აქცია, ვნახე ბატონი ბიძინა ივანიშვილი, სამჯერ ვნახე მარგველაშვილი, სანიკიძე, წულუკიანი, ხადური, არანაირი ძვრა არ არის. იმის მაგივრად, რომ ახალი მფლობელი გვერდზე დაგვდგომოდა პედაგოგებს, გარეთ გამოგვყარა საჯარო სკოლის პედაგოგები და გვეუბნება – სახლი ჩემია, მინდა შემოგიშვებთ, მინდა არ შემოგიშვებთო!

***— როდის დაგატოვებინათ სკოლა?***

— ეს მოხდა წელს, სექტემბერში. ჩვენ მაგივრად ახალი კადრები მიიღო, რადგან ჩვენ გვქონდა განსხვავებული აზრი და არ მოეწონა ეს.

***— სასამართლოს მიმართეთ?***

— მივმართეთ. სასამართლომ კოჰაბიტაციურ რეჟიმში იმუშავა პრეზიდენტის წარმომადგენელთან და ეკონომიკის სამინისტროსთან. კვირიკაშვილი შეგვპირდა, გამოვასწორებ ამასო, მაგრამ კოჰაბიტაციურად იმუშავეს და საქმე შეწყვიტეს. არანაირი დადგენილება არ მიუღიათ. სიმართლეს ვერსად მივაღწიეთ და ბატონ კახა კუკავას ვთხოვეთ, საკრებულოს სხდომაზე გაეტანა ეს საკითხი. სკოლა მილიონად არის ჩადებული და ამ დროს შენობა 5-მილიონიანია. მე არ ვიცი, ასეთი ვინ დგას ამ ქალის უკან, რომ სიმართლეს ვერ მივაღწიეთ.

# ნანა დევდარიანი: „მარგველაშვილმა კოჰაბიტაცია დაამთავრა და ნაციონალებთან სიმბიოზი დაიწყო"

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

***— თქვენთვისაც ცნობილია, რომ გუშინ მთავარმა პროკურორმა გადადგომის თაობაზე განცხადება გააკეთა. უამრავი ვერსია გავრცელდა, ითქვა ისიც, რომ თითქოს მომავალ პრემიერთან აქვს სერიოზული უთანხმოება და ასე შემდეგ... როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— ყურადღებით თუ წაიკითხავთ მის განცხადებას, საკმაოდ ვრცელი განცხადება ჰქონდა, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით პროკურატურაში განსახორციელებელი რეფორმების ვადებსა და დროზე. იქვე იმასაც წერს, რომ თავად მიაჩნია, უფრო სწრაფად უნდა გატარებულიყო რეფორმები. ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია, დანარჩენი უკვე არის შეფუთვა. ის, რომ იგი ბიძინა ივანიშვილს აქებს, მის კურსს ეთანხმება და მასთან ერთად სამოქალაქო სექტორში გააგრძელებს მოღვაწეობას, მიზეზი არის ეს. ახლა იმასაც თუ გაიხსენებთ, რომ ივანიშვილი თვითონ ამბობდა, რომ ჩვენ ვერ დავიწყებთ ახლა ვიღაცების დაჭერას იმიტომ, რომ დასავლეთი ვერ გაგვიგებს, უკვე სრულიად ნათელია მიმართულება, ხომ? საიდან რა მოდის. დიდი ხანია ვიცნობ არჩილ კბილაშვილს, დამწყები ადვოკატი რომ იყო, იმ დროიდან და ვიცი, რომ აბსოლუტურად წესიერი და პრინციპული ადამიანია და ძალიან კარგი პროფესიონალი. ნათელია უკვე მისი ამ განცხადებიდან, რა ხდებოდა და რატომ იყო მთელი საზოგადოება უკმაყოფილო პროკურატურის მუშაობით. როგორც ჩანს, პრემიერისგანაც არ მოდიოდა ამის სურვილი.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ზეწოლა იყო კბილაშვილზე პირველი პირისგან?***

— მთლად ზეწოლა ამას არ ჰქვია, მაგრამ, როგორც ჩანს, მან უთხრა პირდაპირ, რომ ასე სწრაფად საქმის კეთება არ ივარგებს და, შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენამაც ამიტომ დააგვიანა.

***— საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად იყო განწყობილი არჩილ კბილაშვილის მიმართ...***

— კბილაშვილი პოზიტიური პიროვნებაა და დღეს ნათელი გახდა, რომ ეს შეფერხებები და გაუბედავი მოქმედება კბილაშვილის ბრალი ნამდვილად არ ყოფილა.

***— შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზეც უამრავი კანდიდატურა სახელდება, საუბარია, რომ მისთვის სანდო პირს დანიშნავს ამ თანამდებობაზეო, საუბარია მის სიმამრზეც... ეს რამდენად მოვა კანონთან შესაბამისობაში?***

— არა მგონია, ეს მთლად სწორი ალბათ არ იქნება, მაგრამ ყველა შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა მოახერხოს ის, რაც მოახერხა ღარიბაშვილმა, რომ ეს უკიდურესად პოლიტიზირებული პოლიცია არ იყოს თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენებული. ეს არის ერთ-ერთი მთავარი და მეორეც, ამასაც ანგარიშის გაწევა უნდა, რომ პრემიერ-მინისტრის ნდობით უნდა სარგებლობდეს კანდიდატურა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე იქნება წარდგენილი. აქ უფრო საინტერესოა ივანიშვილის ფაქტორი. ის ფაქტიურად წავიდა პრემიერობიდან, მანამდე მან დაასახელა თავისი მემკვიდრე პრემიერ-მინისტრის პოსტზე და ახლა შინაგან საქმეთა მინისტრსაც თუ დაასახელებს, აბა, მაშინ რას ჰქვია პრემიერმინისტრობიდან და პოლიტიკიდან წასვლა?!

***— სხვათა შორის, პირველი ლედიც დაგვინიშნა...***

— დიახ, პირველი ლედიც დაგვინიშნა. კიდევ კარგი, ნინო ბურჯანაძემ არჩევნები არ მოიგო, ბეწვზეა გადარჩენილი, შეიძლება მისთვისაც დაენიშნათ სასურველი მეუღლე.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ აქტიურად ჩაერევა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებში?***

— ამას ხომ დავინახავთ ძალიან მალე. აუცილებლად გამოჩნდება. რა თქმა უნდა, ეს ასე არ შეიძლება ხდებოდეს. თუ ხარ პრემიერ-მინისტრი, შენ მართავ, გუნდის წევრებსაც შენ წარადგენ, პასუხისმგებლობასაც შენ ატარებ. თუ ვიღაცა სხვა არის და პასუხისმგებლობის მატარებელიც სხვა არის, მან უნდა დაასახელოს კანდიდატურები. ისევე, როგორც მან განაცხადა ამას წინათ, რომ შეგულებული მყავს კანდიდატურა თბილისის მერობისო. თბილისის მერობაზე, ნებისმიერ ადამიანს, თუ მას პრობლემები არა აქვს კანონმდებლობასთან, შეუძლია წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა. ახლა ეს განცხადება, რომ შეგულებული მყავს, ეტყობა, თბილისის მერიც დანიშნულია, უბრალოდ, ჯერ არ ვიცით, ვინ არის.

***— ძალიან მალე გვეყოლება ახალი პრეზიდენტი, მიდის საუბარი იმის თაობაზე თუ როგორი კურსის მატარებელი იქნება ის. ჩვენ ასევე მოვისმინეთ რესპუბლიკელების საკმაოდ გამაღიზიანებელი განცხადებები. ალბათ თქვენთვისაც ცნობილია ლევან ბერძენიშვილის განცხადება, რომ ახლა დემოკრატიის კუთხით მეორე კლასში ვართ და თუ არ დავიჭერთ სააკაშვილს, მეოთხეში გადავალთო...***

— მე დრო მახსოვს, როცა სრული კურსი ჰქონდა მას დამთავრებული. შევარდნაძის დროს, „მჯერა" რომ ჰქონდა გადაცემა, მაშინ სრული კურსი ჰქონდა გავლილი და ახლა მეორე კლასში როგორ აღმოჩნდა, ცოტა გაუგებარია. ეს უკვე ცდება ყოველგვარ ლოგიკას და ყოველგვარ საღ აზრს. სააკაშვილის სამართლებრივად დასჯა–არ დასჯაზე ნამდვილად არ არის დამოკიდებული მთელი ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი და მისთვის კლასების მინიჭება. ეს არანაირ პოლიტიკურ აზროვნებაში არ ეტევა. აქვე იმასაც გეტყვით, ხომ არავის დავიწყებია, ლევან ბერძენიშვილს შეიძლება ჰქონდეს ასეთი დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ იმიტომ, რომ მასთან ერთად იყო ნაციონალური მოძრაობის თანათავმჯდომარე. რატომღაც თვითონ ავიწყდებათ ხოლმე და თვლიან, რომ სხვასაც ყველას ყველაფერი ავიწყდება. მესმის მისი, სააკაშვილთან ერთად იყო თანათავმჯდომარე, ერთად დაიწყეს ეს აგრესიული ნაციონალური მოძრაობა, რაღაც მომენტში კი გაემიჯნა, მაგრამ ბოლომდე არ ემეტება მიხეილ სააკაშვილი. ახლა სხვა საქართველოსაც ჰკითხოს, უნდათ?!

***— სხვათა შორის, ასე იყო დავით ბაქრაძის მეორე ადგილის დროსაც, სწორედ რესპუბლიკელებმა და სწორედ ბერძენიშვილმა დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ბურჯანაძის მეორე ადგილს, ბაქრაძის მეორე ადგილი გვირჩევნიაო და მართლაც ასე მოხდა. აქაც იგივე ხომ არ მოხდება და როგორც დადის ჭორები, სააკაშვილს ხომ არ ვიხილავთ როლანდ ახალაიას ნაცვლად პარლამენტში?***

— ალბათ, არც ეგ არ იქნება გასაკვირი. ელემენტარული რამ არის, თუ მაჟორიტარი დეპუტატი უფლებამოსილებას შეიწყვეტს საკუთარი ინიციატივით, მაშინ უნდა დაინიშნოს არჩევნები. არჩევნებში კი ვერავინ ვერ დაუშლის მიხეილ სააკაშვილს, რომ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა დემოკრატიის მეოთხე კლასში გადასვლის ხათრით გვეუბნებიან, რომ არაფრით არ შეიძლება მისი დაკითხვაც კი, არამც თუ დაჭერა, რა შეუშლის ხელს მას მონაწილეობაში? არც არაფერი. ეს ყველაფერი არის იმ კოჰაბიტაციის შედეგი, რომელიც გაუთავებლად ერთი წელი გრძელდებოდა. კი თქვა მარგველაშვილმა – 28-ში დამთავრდება კოჰაბიტაციაო და მართლა დამთავრდა, იმიტომ, რომ კოჰაბიტაცია გადაიზარდა სრულ სიმბიოზში. მარტო ის, რომ საკუთარ მრჩევლად საგარეო საკითხებში მიხეილ მაჭავარიანის ძმა დანიშნა, ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია.

**გაგრძელება მე-5 გვერდზე**

# გია ბარამიძე: „მთავრობაში არაპროფესიონალები არ გვინდა“

## „თუ ვინმემ რამე იცით, დაეხმარეთ პროკურატურას ჟვანიას საქმის გამოძიებაში“

შორენა გონგლაძე

თუ ხელისუფლებამ ქვეყანაში ეკონომიკის კუთხით არსებულ ვითარებას არ მიხედა, ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, — ეს განცხადება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ბარამიძემ, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ბარამიძის განცხადებით, ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები ძალიან სერიოზულად დგას და ამას ქვეყანა სულ მალე ძალიან მწვავედ გაიგებს.

— ჩვენ თვეების მანძილზე ვლაპარაკობდით, რომ ეკონომიკაში ვითარება ძალიან რთულად არის. ეს ყველაფერი გამოიხატება იმაშიც, რომ საგადასახადო შემოსავლებში არის სერიოზული პრობლემები. როგორც ირკვევა, 400 მილიონზე მეტი იქნება ბიუჯეტში გარღვევა. ეს, რა თქმა უნდა, ამ წუთისთვის შეიძლება არ გამოიხატოს იმაში, რომ დაიწყება პენსიების და ხელფასების დაგვიანება, მაგრამ თუ ამ უდიდეს გამოწვევას არ მიეხედა, მომავალ წელს ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ დადგება ქვეყნის წინაშე, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამ ცხრა წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა დაივიწყა, რა არის ბიუჯეტის არშევსება, რა არის სეკვესტრი და მთავრობის მხრიდან თავის მართლება. წინა არჩევნებში რომ ნაციონალურ მოძრაობას გაემარჯვა, ჩვენი ოპტიმისტური გათვლებით ვვარაუდობდით ეკონომიკის 11 პროცენტიან ზრდას, პესიმისტური გათვლებით კი 9 პროცენტიან ზრდას. ახალმა ხელისუფლებამ დაგეგმა ექვსპროცენტიანი ზრდა, მათ თქვეს, რომ იციან, რასაც აკეთებენ და როგორც ვხედავთ, ექვსპროცენტიანი კი არა, ორნახევარ პროცენტსაც თუ მიაღწია ეკონომიკურმა ზრდამ, ესეც მაქსიმალური შედეგი იქნება, რაც ნამდვილად სერიოზული პრობლემაა ქვეყნის ეკონომიკისთვის. სამწუხაროდ, ხელისუფლება იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, რომ ყველაფერი კარგადაა, ეს იმიტომ ხდება, რომ ქვეყნის მართვაში დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომები, ამის გამოსწორებისათვის არაფერი არ კეთდება. არ უნდათ მოისმინონ ჩვენგან ის რეკომენდაციები და რჩევები, რაც არ არის ჩვენ მიერ მოგონილი და ეს არის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები, რომელიც სწორად უნდა მოარგო ქვეყნის ვითარებას. ჩვენ მიერ სპეციალურად იყო პარლამენტში ინიცირებული დებატები ეკონომიკურ საკითხებზე, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყვა ამ ყველაფერს, — აცხადებს გია ბარამიძე. მისივე განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობას მიაჩნია, რომ საქართველო აუცილებლად გამოვა იმ პრობლემებიდან, რაც დღეს არის და ამისათვის ხელისუფლება პრობლემების ხელოვნურად შექმნით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ იმ გზების ძიებით, რაც ქვეყანას გამოიყვანს ამ მძიმე სიტუაციიდან.



— ჩვენ შევეცდებით, მთავრობას დავეხმაროთ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ გვინდა, საქართველოს მთავრობა იყოს წარმატებული, რადგანაც, მათი წარმატება არის ქვეყნის წარმატება და გვინდა, რომ მთავრობაში იყვნენ კომპეტენტური ადამიანები და არა ისეთები, რომლებიც დაინიშნენ ძმაკაცობით და ნათესაობით, — აცხადებს ბარამიძე.

გია ბარამიძე ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებასაც შეეხო და განაცხადა, რომ დროა ხელისუფლებამ ამ თემით სპეკულირება დაამთავროს.

— მძიმეა, რომ ამ ხნის განმავლობაში გარკვეული ადამიანები სპეკულირებენ ზურას გარდაცვალების თემით. დღესაც მიმაჩნია, რომ თუ ვინმემ რამე იცის, დაეხმაროს გამოძიებას. ყველა ვერსია უნდა იყოს შესწავლილი, მაგრამ ამ თემით სპეკულაცია უნდა დამთავრდეს, რადგანაც ამის რესურსი ჩვენს ოპონენტებს ამოეწურათ. სიმართლე, ადრე თუ გვიან, გაირკვევა. ხელისუფლება ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაჰპირდა ხალხს, რომ გამოიძიებდა ამ ყველაფერს. ჩვენც იმედი გვქონდა, რომ რაღაც ახალს გავიგებდით, მაგრამ როგორც ვხედავთ, ახალი ვერაფერი თქვა ხელისუფლებამ. რა თქმა უნდა, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს ის ვერსიაც, რომ ზურა არის მოკლული. დროზე დაამთავროს ეს საქმე, რადგანაც დაისვენოს ზურას ოჯახმაც და ამ ხელისუფლებამ კი დაამთავროს ამ თემით სპეკულირება. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით ზურას მეგობრებად და ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მძიმეა ზურას ოჯახზე გაუთავებელი ლაპარაკი და ამ თემით სპეკულირება. რაც შეეხება ფირცხალაძეს, მე პირადად მას არ ვიცნობ, მაგრამ ეს არის ადამიანი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში იყო და თავი დაგვამახსოვრა იმით, რომ მან ოცდაათი კაცი ხელბორკილებით მიიყვანა პროკურატურაში, შემდეგ გაუშვა ეს ხალხი და ასე შემდეგ. ეს ხდება მაშინ, როდესაც ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო არის საქართველოში სტუმრად, და ეს ყველაფერი დაგმეს თავად მთავრობის წევრებმა და მისმა თანაგუნდელებმა, — განაცხადა გია ბარამიძემ.

# ფსიქოტროპული წამლების მოთხოვნით პატიმრებმა თავი დაიზიანეს

შორენა გონგლაძე

სასჯელაღსრულების სამინისტრო ეხმაურება მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების მიერ თვითდაზიანებების მიყენებასთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულების სამინისტრო ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც მედიის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართავს, არ დაუშვან მსჯავრდებულთა მხრიდან თვითდაზიანებებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოთხოვნის შესახებ გადაუმოწმებელი ფაქტების გავრცელება.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. უწყება თხოვნით მიმართავს მედიის წარმომადგენლებს, ხელი შეუწყონ სასჯელაღსრულების სისტემაში წამალდამოკიდებულების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და არ დაუშვან მსჯავრდებულთა მხრიდან თვითდაზიანებების და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოთხოვნის შესახებ გადაუმოწმებელი ფაქტების ტირაჟირება. „აღნიშნული აფერხებს წამალდამოკიდებულების პრობლემის დაძლევას და ხელს უწყობს თვითდაზიანების შემთხვევების კიდევ უფრო გაზრდას, რაც თავის მხრივ დარტყმას აყენებს მსჯავრდებულთა ქირურგიული და თერაპიული მომსახურების, ნარკოლოგიური, ც ჰეპატიტის მკურნალობის და სხვა პროგრამების მიმდინარეობას, — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში განმარტავენ, სინამდვილეში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს: გასულ კვირას ორმა მსჯავრდებულმა სამედიცინო პერსონალს მიმართა ჩივილებით და მოითხოვა ფსიქიატრის კონსულტაცია. მათ ჩაუტარდათ ფსიქიატრის კონსულტაცია ინდივიდუალურად, გაკეთდა შეფასებები, მკურნალობის სქემის მოდიფიცირება და შესაბამისი ჩანაწერები სამედიცინო ისტორიაში. ორივე მსჯავრდებულმა, იმის გამო, რომ ფსიქიატრმა საჭიროდ არ მიიჩნია მათი მოთხოვნის მიხედვით ფსიქოტროპული მედიკამენტების დანიშვნა — პროტესტის ნიშნად წინამხარზე დაისერეს კანი. შემდგომში ისინი მოითხოვდნენ ფსიქოტროპული მედიკამენტების -'დიაზეპამისა' და 'ზოლომაქსის' მიწოდებას დანიშნულების გარეშე, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული სამედიცინო პერსონალის მიერ. ორივე მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. მიყენებული დაზიანებები არ იყო სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის სახიფათო, თუმცა მოხდა მათი ქირურგიული დამუშავება და ნახვევის დადება. ამ ეტაპზე ორივე მსჯავრდებული იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ და მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არ დასტურდება ცნობა შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტების დიდი დოზით მიღების შესახებაც — პაციენტი, რომელსაც იმავე საკანში აღნიშნული მედიკამენტები ჰქონდა დანიშნული, მისთვის დანიშნულ დოზებს რეგულარულად იღებდა, შესაბამისად, 210 აბის გადაცემას მესამე პირზე ვერ მოახერხებდა. ფსიქოტროპული მედიკამენტების ავადმოხმარებას სასჯელაღსრულების სისტემაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ფენომენი გადაფარავდა წლების განმავლობაში ნარკოდამოკიდებულებისა და ძალადობის პრობლემებს. შედეგად ასეულობით პატიმარი გახდა ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე დამოკიდებული, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ამის გათვალისწინებით, სამინისტრომ დაიწყო აქტიური კამპანია, რომლის ფარგლებშიც მოხდება დანიშნულებების რევიზია, წამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობა-რეაბილიტაცია და მედიკამენტების ბრუნვისა და კონტროლის გამკაცრება,'— ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ლევან ბერძენიშვილი: „მხოლოდ რამდენიმე მინისტრი შეიცვლება“

შორენა გონგლაძე

მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე თავისი შემცვლელი დაასახელა, მთელი ყურადღება უკვე მთავრობის ფორმირებაზეა გადატანილი. მართალია ირაკლი ღარიბაშვილმა პირველივე დღესვე განაცხადა, რომ ყველა მინისტრი შეინარჩუნებდა თანამდებობას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ მოხდა. პირველი მერცხალი უკვე ყოფილი მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც პოსტი ბიძინა ივანიშვილის ერთგულების და საზოგადოებრივ სექტორში მის გვერდით ყოფნის მოტივით დატოვა. რა თქმა უნდა, ეს ფორმალურად, თორემ ყველამ მშვენივრად უწყის, ამ საქმეში ახალი პრემიერის ხელი რომ ურევია. კიდევ რამდენი მინისტრი გაიზიარებს კბილაშვილის ბედს, ეს უახლოეს ხანებში გაირკვევა. მანამდე კი, როგორც ოპოზიცია, ასევე ხელისუფლება კბილაშვილის ერთწლიანი ნამოღვაწარის შეფასებით არის დაკავებული.

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ისაუბრა, მისი განცხადებით, ახალი პრემიერის მოსვლის პირობებში, მთავრობაში ცვლილებები სრულიად ბუნებრივია და ამაში უცნაური არაფერია.

— ბუნებრივია, როდესაც ქვეყანაში ახალი პრემიერი მოდის, მთავრობაში გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ როდესაც ახალი პრემიერ-მინისტრი მოდის, ცვლილებები იქნება. თუ ვინმეს წარმოედგინა, რომ იქნებოდა მინუს ერთი, პლუს ერთი, ანუ წავიდოდა ბიძინა ივანიშვილი, მოვიდოდა ირაკლი ღარიბაშვილი და ამით ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ცვლილებები ამოიწურებოდა, ცდებოდა. ვეთანხმები არმაზ ახვლედიანს, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებები არის ნიშანი მომავალი ცვლილებებისა, რომელიც შეიძლება სულ არ იყოს კოსმეტიკური და იყოს საფუძვლიანი. არჩილ კბილაშვილის მიერ პოსტის დატოვება მომავალი ცვლილებების ნიშანია. ვფიქრობ, სხვა ადამიანებიც დატოვებენ თანამდებობას და ახალი პრემიერიც რამდენიმე ადამიანს გაათავისუფლებს და ეს არ იქნება მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები. ყველას თავისი მუშაობის სტილი აქვს და ცდილობს, შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც უკეთესად შეძლებს მუშაობას, — აცხადებს ბერძენიშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის განცხადებით, მთავარი შენიშვნა არჩილ კბილაშვილის მიმართ იყო ის, რომ ადამიანურია. როგორც ბერძენიშვილმა განაცხადა, თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ შედარებით რბილი კბილაშვილი წავა და მოვა ძალიან სასტიკი და დაუნდობელი მთავარი პროკურორი, ამ იდეას არ იზიარებს და არ გულშემატკივრობს. „საქართველოში ხანდახან ავიწყდებათ, რა რთულია გარდამავალი ეპოქა და რა რთულია არჩილ კბილაშვილის ტიპის ადამიანებისთვის. კაცი იმ მთავარ პროკურატურას ხელმძღვანელობდა, სადაც მთავარი პროკურატურა სულ სხვა საქმეს ეწეოდა. ჩვენ გვქონდა ქვეყანა, სადაც ძალოვან მინისტრს დააპატიმრებდნენ და ის 15 წუთის შემდეგ აღიარებით ჩვენებას იძლეოდა. ახლა გვაქვს ქვეყანა, სადაც ყოფილი ძალოვანი მინისტრები დაპატიმრებული არიან და 15 წუთისა და 15 დღის მერე კი არა, 15 თვის შემდეგაც არ აპირებენ აღიარებითი ჩვენების მიცემას. ეს იმიტომ ხდება, რომ შეიცვალა დამოკიდებულება პროკურატურაში, შეიცვალა დამოკიდებულება სასჯელაღსრულების სისტემაში, რაც კარგი ნიშანია, — განაცხადა ბერძენიშვილმა. მისივე თქმით, კბილაშვილის მიმართ კრიტიკა ძირითადად იმას ეხებოდა, რომ ბევრს მიაჩნდა, ტემპი საკმარისი არ იყო და დიდხანს გრძელდებოდა საგამოძიებო და სასამართლო პროცესები, ვიღაცის შენიშვნა იყო, რომ ცოტას იჭერდა და ვიღაცის ის, რომ ბევრი დაიჭირა. „მთავარი შენიშვნა კი ჰქონდათ, რომ არის ადამიანური. რა ვქნა, ამ შენიშვნას ვერ გავიზიარებ — პროკურორი უნდა იყოს ადამიანი და ადამიანური,'— აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა. ამასთან, ბერძენიშვილმა ხაზგასმით განაცხადა ისიც, რომ ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომლის შედეგად პარლამენტში უმრავლესობა გაქრება, არ ელის.



ბერძენიშვილის განცხადებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსალოდნელი არაკოსმეტიკური ცვლილებები იმას ნიშნავს, რომ შეიძლება შეიცვალოს ერთი-ორი მინისტრი, მინისტრების მოადგილეები, დეპარტამენტების უფროსები. რაც შეეხება მომავალ მთავრობაში ირაკლი ალასანიასა და მისი გუნდის პოზიციების შესუსტების თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებს, ამასთან დაკავშირებით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ: — ასეთი რამ არა თუ კოსმეტიკური, არამედ რადიკალური ცვლილებებია და ასეთ რამეს არ ელის. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილმა პირველი, რაც წარდგენისას ბრძანა, იყო ის, რომ არავითარ შემთხვევაში კოალიციას არ დაშლის. მისი ამ ნათქვამიდან გამოვიტანე დასკვნა, რომ ეს ნიშნავს, რომ შევინარჩუნებთ იმ ადამიანებს, რომლებიც კარგად მუშაობენ და მთავრობაში სხვადასხვა პოლიტიკური გუნდიდან არიან,'— აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

# ნანა დევდარიანი: „მარგველაშვილმა კოჰაბიტაცია დაამთავრა და ნაციონალებთან სიმბიოზი დაიწყო“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ნათქვამია ის, რასაც მე უკვე ერთი წელია ვამბობ, რომ ერთი და იგივეა ეს ორი პოლიტიკური ძალა და ეს დაამტკიცა მარგველაშვილმა. ერთი ძმა ნაციონალებშია, მეორე — ოცნებაში.

***— თითქოს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ძმებს ცუდი დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ ისინი მაინც ძმები არიან და მათგან ერთი არის მწარე ნაციონალი. ამას ვერ გავექცევით...***

— მე მიშასაც დიდი ხანია ვიცნობ და ბევრ მაგათგანს, სულ არა ვარ დაინტერესებული იმით, რომ მიშა მაჭავარიანს საკუთარ ძმასთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდეს. ძალიან ბოროტი უნდა იყო ადამიანი, რომ ეს გინდოდეს. ამაში არ არის საქმე და არც იმაში, რომ პირველივე დანიშვნა, მარგველაშვილმა რაც გაახმიანა, ეს არის მისი პირველი ცოლის ძმა და არ გამოვა ასე. ყველა, ვინც მოდის ხელისუფლებაში ამ ქვეყანაში, თვლის, რომ მარტო მის ვიწრო გარემოცვაში არიან ჭკვიანები, ნიჭიერები, ბიზნესის მონაცემების მქონეები და ასე შემდეგ. როგორ დავიჯერო ახლა, რომ ცოლის ძმის გარდა არავის არ იცნობს ის, ვისაც შეუძლია ეს სამსახური გასწიოს. ანდა საგარეო ურთიერთობებში დაილია ახლა ხალხი, რომ არჩევანი მაინცდამაინც მიშა მაჭავარიანის ძმაზე არ შეაჩერო? მაგრამ ძალიან ბევრი აკავშირებთ მაგათ ერთმანეთთან, მე ყოველთვის მაგას ვამბობდი დაუფარავად. ახლა ვისზეც ვსაუბრობდით, დიდწილად არიან თავისუფლების ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, რომლისგანაც ძალიან შორს არც ლევან ბერძენიშვილი არ მდგარა და იმიტომაა რომ იძახის, რომ ბოკერია ჭკვიანია, გადასარევია და მაგისთანა კაცის დაკარგვა არ შეიძლებაო. ერთნი არიან ეგენი!

***— ასევე ბევრს საუბრობენ ბოკერია-მარგველაშვილის მეგობრობაზეც...***

— დიახ და ეს თავადაც არ დაუმალავს. მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენო.

***— მაშინ ასე გკითხავთ, საით მივდივართ და რა შედეგს უნდა ველოდეთ?***

— ეს ორი პოლიტიკური ძალის სრული სიმბიოზია და მეტი არაფერი. ეს კარგს არაფერს მოიტანს. ვანახოთ, დაველოდოთ.

***— თუმცა მომავალი პრემიერი მარგველაშვილისგან განსხვავებით აცხადებს, რომ სამართლიანობა აუცილებლად აღდგება და დაისჯება ყველა თანამდებობის პირი, ვინც კი დანაშაული ჩაიდინა ქვეყნის და ჩვენი მოქალაქეების წინაშეო... რამდენად სარწმუნოა მისი განცხადება?***

— ღარიბაშვილი მე არ მყავს შემჩნეული იმაში, რომ რაღაც ეთქვას და არ გაეკეთებინოს. შესაძლოა ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა რაღაც გარკვეული ვალდებულებები, რომლის გამოც რაღაც ნაბიჯები ვერ გადადგა. ხოლო ღარიბაშვილი ამისგან არის თავისუფალი. სრულიადაც არ გამოვრიცხავ, რომ ის ამას გააკეთებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე პოზიტიურ შთაბეჭდილებას ტოვებს. რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია და ასევე საზოგადოების დიდი ნაწილისთვისაც, მას წესიერი კაცის რეპუტაცია აქვს და დიდი მონდომების მიუხედავად, ვერავინ ვერ შეძლო მისი ცუდკაცობის შესახებ რაიმე ინფორმაცია გაეხმოვანებინა. მე იმედი მინდა ვიქონიო, რაკი ეს თქვა, ამას მოახერხებს ნამდვილად.

***— საზოგადოება შეთანხმდა იმ აზრზე, რომ ყველა იმ კანდიდატურიდან, ვინც კი დასახელდა, ირაკლი ღარიბაშვილი იყო საუკეთესო...***

— დიახ, უადავოდ ასე იყო, მაგრამ ახლა ვნახოთ, შეუშლიან თუ არა ხელს თვითონ კოალიციიდან.

# ვაჟა ოთარაშვილი: „დღეს საქართველოს ამერიკა მართავს“

შორენა კოწოწაშვილი

**მწერალი ვაჟა ოთარაშვილი ფიქრობს, რომ ახალმა პრემიერმა და პრეზიდენტმა სამეზობლო პოლიტიკას უნდა გადახედონ და ეროვნული ინტერესების დაცვის კუთხით მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები უნდა მიიღონ.**

ოთარაშვილი თურქული ინტერესების გაძლიერებას ქართულ სახელმწიფოში საფრთხის შემცველად მიიჩნევს და აცხადებს, არა მხოლოდ ეკონომიკური, კულტურული ექსპანსიაც სახეზეა ჩვენი „კეთილი“ მეზობელი თურქეთის მხრიდან.

რას ემსახურება ქართული ტელემედია და ვინ მართავს დღეს საქართველოს და არის თუ არა რეალურად ეროვნული ხელისუფლება ქვეყნის სათავეში? — ამ საკითხების ირგვლივ ვესაუბრებით მწერალ ვაჟა ოთარაშვილს.

— ბატონო ვაჟა, ფაქტია, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ასიათასობით ადამიანი გამოდიოდა ანტიეროვნული ძალის გადადგომისა და ხელისუფლებაში ეროვნული მთავრობის მოყვანის ლოზუნგით. მართლაც, არის თუ არა კოალიციური ხელისუფლების პირობებში ეროვნული ინტერესები დაცული ივანიშვილის მმართველობის ერთი წლის თავზე?

— ეროვნული კუთხით რატომღაც ეს ვითარება მაგონებს გასული საუკუნის იმავე პერიოდს. როგორც მენშევიკური, ბოლშევიკური მთავრობაც ებრძოდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. ამას მოწმობს საკანონმდებლო აქტები, ბრძანებები და დებულებები. აქედან დასკვნა — ილიას გზით საქართველო არც მენშევიკურ და არც ბოლშევიკურ მთავრობას არ წაუყვანია. ახლა გადმოვიდეთ 21-ე საუკუნეში. ისმის კითხვა: ქართულ ხელისუფლებას ეროვნული გზით მიჰყავდა საქართველო? საქართველოს ამ წლებში ჰყავდა კი ეროვნული ხელისუფლება? ზვიად გამსახურდიას პიროვნულად და არა მის გუნდს, სადაც უამრავი აგენტი იყო როგორც რუსეთის, ისე ამერიკის, ვიმეორებ, მე არ ვამბობ ეროვნული მოძრაობის ლიდერ ზვიად გამსახურდიაზე და მერაბ კოსტავაზე, მაგრამ არც ერთ ქართულ ხელისუფლებას ეროვნულ გზაზე არ წაუყვანია საქართველო. ვიცი, რომ ახლა ზვიადისტები დაიწყებენ, მართალი არა ხარო, მაგრამ ვინ იყო თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, რომელიც დღეს მოსკოვში ცხოვრობს? ვინ მოიყვანა ის? გამსახურდიამ. აღმოჩნდა, რომ კიტოვანი ჩვეულებრივი რუსეთის კაცი იყო. არ მინდა სხვა სახელების დასახელება. აქედან მოყოლებული, სამწუხაროდ, საქართველომ თავისი ეროვნული განვითარების კალაპოტი ვერ იპოვა. დღესაც ასე გრძელდება. არის შედარებით ნაკლები ზეწოლა ხალხზე. არ შემიძლია, არ დავინახო ის დადებითი, რაც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ შექმნა — ის ანტიქართული, ქართველთყლაპია ხელისუფლება მოსცილდა, რომელიც სატანური წამების ფორმებით ახორციელებდა ქართველი ერის განადგურებას. მაგრამ მაინც მახსენდება ბრძნული გამოთქმა: ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეს. ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული გზა შეიძლება ასცდეს ნამდვილ რელსებს. ვისურვებდი, ხელისუფლებამ, ახალმა პრემიერმა და პრეზიდენტმა მონახონ განვითარების ეროვნული კალაპოტი. დღეს ვერ გეტყვით, განვითარების როგორ გეზს აირჩევენ. თუმცა, ერთწლიან პერიოდში აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისა და ფაშისტური ზეწოლის მეთოდები მთლიანად აღმოიფხვრა. თუმცა არის ბრძოლის სხვა მეთოდებიც. საქართველო, როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა, გულზე არ ახატია არც ერთ დიდ ქვეყანას. ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, რომ ქართველი ერის მოსპობა შეიძლება საქართველოში მართლმადიდებლობის მოსპობით. ვშიშობ, თუ არ იქნება თანმიმდევრული ეროვნულ პოლიტიკაში პარლამენტი და მთავრობა, შეიძლება, ძალიან უარყოფით შედეგებამდე მივიდეთ.

***— ანუ კოალიციურმა ხელისუფლებამ სამეზობლო პოლიტიკას უნდა გადახედოს? საფრთხეს საიდან ელოდებით?***

— მე ველოდები როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებს. დავაკონკრეტებ, სამეზობლო პოლიტიკას საქართველომ აუცილებლად უნდა გადახედოს. შესაცვლელია პოლიტიკა რუსეთთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, ერთმორწმუნე ბიზანტიაც კი დამპყრობლის თვალით უყურებდა საქართველოს, იმიტომ, რომ იმპერიული ზრახვები ყოველთვის ძლიერია. დღესაც, როდესაც რუსეთს ვუყურებთ, მას იმპერიული ზრახვები გააჩნია საქართველოსთან მიმართებით, მაგრამ, ამავე დროს, ერთი მთავარი კოზირი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, არის მართლმადიდებლობა. მოგეხსენებათ, დაინგრა რომის იმპერია და რომის ფუნქცია აიღო რუსეთმა. ეს საყრდენი თუ არ გამოიყენა საქართველომ, თუ არ მოაწესრიგა ურთიერთობები რუსეთთან, სულ სხვა დონზე, არა ჩვეულებრივი კონფრონტაციითა და ჯიბრით, ეს არის ეროვნული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, საქართველო აღმოჩნდება ძალიან დიდი საშიშროების წინაშე.

***— მარტო რუსული პოლიტიკაა ქვეყნისთვის საშიში? ბევრი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ საქართველოში ძალიან ღრმად შემოვიდა თურქეთი***



***და ყველა თურქული ინტერესი დაკმაყოფილდა...***

— აშშ-მ რუსეთი და რუსული ბაზები საქართველოდან განდევნა და თვითონ ჩვენს ქვეყანაში თურქეთის სახით შემოდის. ეს გაცილებით დიდი საშინელებაა, ვიდრე საქართველოს რუსეთის უღელქვეშ ყოფნა. რუსეთმა საქართველოს ძალიან ბევრი ცუდი გაუკეთა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, დღეს გაცილებით უფრო დიდი საფრთხის შემცველია თურქეთი, საქართველოს „კეთილი“ მეგობარი. ისტორია მეორდება. მიდის საქართველოს დაპყრობა თურქეთის მიერ. დაპყრობა მიდის ყველა სფეროში — ეკონომიკის სფეროში, სოფლის მეურნეობის სფეროში, ჯანდაცვის სფეროში. დააკვირდით, თურქი ბიზნესმენები ყიდულობენ ჩვენს ჯანდაცვის ობიექტებს. და ყველაზე მთავარი, რაც მაძრწუნებს: ქართული ტელეარხების მფლობელები არიან პირველი მოღალატეები, მოღალატე მეძავები, რომლებიც თურქებს დაუწვნენ. საქართველოს თითქმის ყველა ტელეარხზე ლამის 24 საათის განმავლობაში მიდის თურქული ტელესერიალები. ეს არის უკვე ქართული საეთერო სივრცის დაპყრობა. მოსახლეობის ზომბირება ხდება. ეს არის სპეცსამსახურებში დამუშავებული სპეციალური ფორმა, რომ ქვეყანას თავს მოახვიო შენი იდეოლოგია, რომელიც თან სხვა სარწმუნოებისაა. ვერასდროს მაჰმადიანობა და მართლმადიდებლობა ვერ შეთავსდება, რამდენი ფილმიც არ უნდა აჩვენო. ეს გამორიცხულია. ქართველი არის ქრისტიანი თავისი რჯულით, დაბადებით, თუ ის ქართველია. ამიტომაც ჩვენმა მტრებმა ძალიან კარგად მოიფიქრეს, რომ ეს იქნება „მაესტროს“ თუ სხვა ეთერი, აჩვენებენ თურქულ მრავალსერიიან ფილმებს, გვაჩვევენ თურქულ ადათ-წესებს, ჩვევებს, სახელებსა და თურქულ გარემოს. აქედან დაპყრობამდე ერთი ნაბიჯია.

***— ფიქრობთ, რომ არასწორი სატელევიზიო პოლიტიკაა?***

— ქართული ტელეარხები დღეს უმთავრეს მტრად იქცნენ ქართველი ერისა, რომლებიც ისტორიის სანაგვეზე გადაგდებულ ნაციონალურ მოძრაობას აცოცხლებენ და ყოველდღიურად მათ ანტიქართული გამოსვლებით ჟანგბადს აწვდიან სახელმწიფოსთვის უკვე მკვდარ კრიმინალებს. ფაქტობრივად, საქართველოს მოსახლეობა ტელეეკრანზე ყოველდღე უყურებს იმ ნაციონალ ჯალათებს, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი ტანჯეს დაააწიოკეს. სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ტელესადიზმის ახლებური ფორმა მივიღეთ, რაც ასევე დემოკრატიისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ერთი მხარე ქართული არხებისა, მეორე კი უცხოური ტელესერიალებია, კერძოდ, თურქული. არადა, ქართული ტელევიზიები უპირველესად ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. სამწუხაროდ, საქართველოში გამყიდველი ტელეჟურნალისტების ერთი და იგივე სახეებს ვხედავთ როგორც ძველ, ისე ახალ მთავრობის პირობებში. ნაციონალების ტელეაგენტები „ოცნების“ ბანაკში მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებსაც იკავებენ. ანალოგიური ხდება კულტურის სფეროშიც.

***— ზემოთ თურქულ საფრთხეზე საუბრობდით. ეკონომიკური ექსპანსიიდან კულტურულზე გადავედით? ამის თქმა გინდათ?***

— ეკონომიკური ექსპანსია ლამის მორჩა. ჩვენი ბაზრები სავსეა თურქული პროდუქციით ამიტომ ვამბობ, ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდესმეთქი. რა გააკეთა ახალმა ხელისუფლებამ ქართული ეკონომიკის დასაცავად? ძველი რომ პირდაპირ იყო ანტიქართული, ეს ცხადია. ივანიშვილის მთავრობამ, ერთადერთი, რაც გააკეთა, გლეხებს მიწები მოუხნა. შემდეგი ნაბიჯები რა არის?! არც ერთი ქართული საწარმო არ გაუხსნიათ. განა არ შეიძლებოდა, პარლამენტს ისეთი კანონმდებლობა მიეღო, რომ ქართველ გლეხს ამოესუნთქა, რომ გლეხის მიერ მოყვანილი ვაშლი, ბოსტნეული და ა.შ. პროდუქტები, ჩვენს ბაზარში შემოსულიყო? თურქეთიდან შემოდის ეკოლოგიურად უაღრესად დაბინძურებული პროდუქტი. ვნახოთ, სტატისტიკა ონკოლოგიური დაავადებებისა, სტატისტიკა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა, რა იწვევს ამ ყველაფერს?! ამას იწვევს ის საკვებიც, რომელსაც გვთავაზობს თურქეთი და ყველა ის მეზობელი, რომელსაც ქართული ბაზარი აქვს დაპყრობილი. ამას დაემატა ტელედაპყრობაც, რომელმაც, ფაქტობრივად, ქართველი მოსახლეობის გადაჯიშების პროცესს დაუდო სათავე. ვერ წარმოიდგენთ, ბავშვები როგორ აქტიურად ეძახიან ერთმანეთს ქუჩაში თურქულ სახელებს. ჩვენ კი, ნაციონალების ფაშისტური ხროვა, აჯარიმებდა ქართულ რესტორნებში რუსული სიმღერების დაკვრისთვის, რუსეთი დამპყრობელიაო. ახლა გაიარეთ აღმაშენებლის პროსპექტზე, დიღომში, რუსთაველზე თურქულ მუსლიმანური სიმღერებით არის სავსე ჩვენი რესტორნებისა და კაფებარების ესტრადა. უფრო მეტიც, იმდენად გათავხედდნენ, რომ ამ დაწესებულებებში ქართველი ქალების მეტს არავის უშვებენ. პლეხანოვის გამზირს ლამის სტამბოლის გამზირი დაარქვან. აი, სწორედ საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს ეროვნული, რასაც მე ვერ ვამჩნევ დღევანდელ ხელისუფლებას. ქართული ჩოხებითა და ჩიხტიკოპებით სიარული ან პრეზერვატივებზე კანონის მიღება ეროვნული პოლიტიკის გატარება არ არის. ეს არის სამარცხვინო. ეს არის იმ პიარკამპანიის გაგრძელება, რომელსაც ახორციელებდა სააკაშვილის ბანდა. ჩვენ რითი უნდა დავიცვათ თავი? უნდა შეიქმნას ეროვნული იდეოლოგიის მკაცრი საკანონმდებლო ბაზა, რითიც დავიცავთ ტელემეტერს, უცხოური ფილმების თავს მოხვევისაგან; რითაც დავიცავთ ქართულ ბაზარს, უცხოეთიდან შემოსული მავნე პროდუქტებისაგან; უცხოელს არ უნდა შეეძლო ასე ადვილად საწარმოს გახსნა, ინვესტიციებზე რომ ვლაპარაკობთ, რა, ქართველი ხალხი შრომისმოყვარე არ იყო?!

***— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ბევრიც არაფერი შეცვლილა კოალიციური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. ასეა? ჩანს, რომ ხელმძღვანელ პირებად ისევ სახეცვლილი ნაციონალები და ნაციონალებთან დაახლოებული პირები ინიშნებიან.***

— კიდევ ვიტყვი ცალსახად: ეროვნული გეზის მხრივ საქართველოში არაფერი შეცვლილა ეროვნული იდეოლოგიის კუთხით. ერთადერთი, შეწყდა მოსახლეობის მასობრივი დაჭერა ციხეებში, ზეწოლა ბიზნესზე და სხვადასხვა სახის ზეწოლები. დანარჩენი, გეზი სახელმწიფოს განვითარებისა არ შეცვლილა.

***— შეძლებს ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორიდან მეზობელ სახელმწიფოების ინტერესების ხელშეშლას ქართულ მიწაზე? მან ხომ პასუხისმგებლობა აიღო ქვეყნის მართვაზე საპარლამენტო არჩევნების წინ? რა პრობლემის წინაშე ვდგავართ?***

— ქვეყანაში დაკარგულია ღირსების გრძნობა, რომელიც დაუკარგა ნაციონალურმა მოძრაობამ და ეს აღსადგენია. ვერ წარმომიდგენია, რომ ივანიშვილი წავიდეს პრემიერის პოსტიდან და შემდეგ იგი არ იყოს, ჩართული საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. მე ვფიქრობ, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებში მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს, ერთ კაცს. საქართველო თავისი მრწამსით არის მონარქიული ქვეყანა, ქართველი კაცი ყოველთვის მეფეს, ლიდერს, გმირს ეძებდა. გასული წლის 1 ოქტომბრამდე სწორედ ასეთ ლიდერად და მეფედ ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილი დასახა და ამას დაუჭირა მხარი. მერეც, როცა მან გიორგი მარგველაშვილი დააყენა საპრეზიდენტო კანდიდატად, ხალხმა ისევ მეფეს დაუჭირა მხარი. ახლაც, როცა ივანიშვილმა, ამ დიდმა მოთამაშემ, პრემიერის პოსტზე თავის შემცვლელად ირაკლი ღარიბაშვილი გამოაცხადა, ხალხი მხარს ისევ ივანიშვილს უჭერს. მაოცებს ერთი რამ. როდესაც ბაგრატიონთა წარმომადგენელი მოინათლა თბილისში, ე.წ. ენჯეოებმა, რომლებიც ჩვეულებრივ საქართველოში შემოგზავნილ მოღალატეთა რაზმად მიმაჩნია, ერთი ამბავი ატეხეს, იმის მაგივრად, რომ გახარებოდათ. ვერ გეტყვით, ივანიშვილი რომ მიდის დიდი პოლიტიკიდან, ის არ მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მართვაში. მე ამის არ მჯერა. მაინტერესებს, ვინ გადაამოწმებს იმ კულუარულ შეხვედრებს, რომელიც მას ექნება პრეზიდენტთან, პრემიერთან ან მთავრობის სხვა წევრებთან.

***— რესპუბლიკელების მმართველობა მართლაც ძლიერდება ქვეყანაში? ვინ მართავს რეალურად პარლამენტს?***

— საქართველოს დღეს მართავს აშშ და აშშ-მ აგრესიული ფაშისტური ნაციონალური ხროვის ნაცვლად ქვეყნის სათავეში ლიბერალური ძალები მოიყვანა ანუ მახვილი ეკალი შეცვალა რბილი ეკლით. ქვეყნის განვითარების ეროვნული გეზი არ შეცვლილა. ჩვენ უნდა მივბაძოთ იაპონიას, რომელმაც თავისი ეროვნული ტრადიციები არ დაკარგა, მაგრამ არ ჩამორჩა მსოფლიო ინტელექტუალური განვითარების ფერხულს.

## შს მინისტრი საგურამოში ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საგურამოში ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრო. პანაშვიდი ილია მართლის სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა.

პანაშვიდის შემდეგ, ქადაგებისას ილია მეორემ საქართველოს ხელისუფლება დალოცა და ქვეყნისათვის სასიკეთო მოღვაწეობა უსურვა.

გუშინ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 176 წელი შესრულდა. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღი საგურამოში უკვე მეთერთმეტე წელია აღინიშნება.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძე: „კბილაშვილის წასვლამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა“

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“-ს ლიდერის ნინო ბურჯანაძეს შეფასებით, მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილებამ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით, ბევრი კითხვის ნიშნები გააჩინა.

მისი თქმით, საინტერესოა, არსებული პრეტენზიები კბილაშვილის მიზეზით იყო გამოწვეული, თუ მას ხელი-




სუფლება არ აძლევდა საშუალებას გამოძიების სათანადოდ წარმართვისთვის.

„იმ განცხადებამ, რომელიც გააკეთა ბატონმა კბილაშვილმა, ძალიან სერიოზული კითხვის ნიშნები გააჩინა — ეს პრეტენზიები არის კბილაშვილის ბრალი, თუ იმის ბრალი, რომ მას უმაღლესი ხელისუფლება პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, არ აძლევდა შესაძლებლობას, წარემართა გამოძიება ისე როგორც საჭირო იყო“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გადადგომასთან დაკავშირებით განცხადება გუშინწინ გააკეთა. ის პოსტს ინაუგურაციის შემდეგ დატოვებს და მუშაობას პრემიერთან ერთად სამოქალაქო სექტორში გააგრძელებს. ამასთან, მან განმარტა, რომ არავითარი უთანხმოება არ აქვს მომავალ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან. თუმცა, მისი თქმით, განსხვავებული შეხედულებები პრიორიტეტებთან, გამოწვევებთან და სამართალდაცვით სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით არსებობს. ამასთან, კბილაშვილის განცხადებით, მას ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებული ხედვა ჰქონდა პროკურატურის გარდაქმნისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დროსთან დაკავშირებით. მთავარი პროკურორის განცხადებით, იგი შედარებით სწრაფი მოქმედებების მომხრეა.

**ნიუსპრესი**

# რევაზ ლაგვილავა: „უნიჭობის მტერი ვარ!“

ეკა ირემაშვილი

საოპერო მომღერალმა რევაზ ლაგვილავამ ინგლისის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონს საგანგებო წერილი მისწერა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, მის აღმატებულებას, ბატონ დევიდ კემერონს! თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრემიერ-მინისტრო! გიგზავნით წერილს არშემდგარი სახელმწიფოდან, რომელსაც საქართველო ჰქვია. მე გახლავართ ოპერის მომღერალი (თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი), რომელიც, თითქმის სამი ათეული წელია, ვემსახურები ვოკალურ ხელოვნებას. აქედან 25 წელია, ვეწევი წარმატებულ საოპერო შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. რამდენიმე წელია, ყოველ მხრივ მიმდინარეობს აგრესიული შეტევა ჩემზე საეჭვო ფარული ობსტრუქციული ძალების მიერ, რომლებიც შეგნებულად მართმევენ შემოქმედების ოქროს წლებს.

ნიჭიერი და ღირსეული ქართველი ერის, ნიჭით გაჯერებული, თავის საქმის მცოდნე, მაღალი რანგის პროფესიონალები, ბროუნის მოძრაობის რეჟიმში იმყოფებიან და მსხვერპლნი არიან უმეცრებისა და არაკომპეტენტურობის. ამის მიზეზია მთავრობის პროვინციული ფეოდალური ნეპოტიზმისა(!) და უნიჭო ფავორიტთა დაწინაურების პოლიტიკა, რომელიც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ მომავალს.

თქვენო აღმატებულებავ! მოგმართავთ, როგორც ფლაგმან-დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურს. გთხოვთ, მომცეთ თავშესაფარი და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა (თუნდაც გარკვეული დროით), რათა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალს, მომეცეს მუშაობის საშუალება, რაც ჩემი შემოქმედების ოქროს წლების რეალიზაციაში მომეხმარება. იმედით, დიდი ბრიტანელი ხალხისა და თქვენი აღმატებულების პატივისცემით, რევაზ ლაგვილავა.“

საოპერო მომღერალი არც იმას მალავს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრამდე მან წერილი ანგელა მერკელსაც მისწერა, საიდანაც პასუხიც მიიღო და ახლა სამადლობელი წერილის გასაგზავნად ემზადება.

ხელოვანი თვლის, რომ გარკვეულ ძალებს მისი ოპერისა და ბალეტის თეატრში დაბრუნება არ აწყობთ, თუმცა მათი დასახელებისგან თავს იკავებს. რევაზ ლაგვილავას თქმით, ის უკვე სამი წელია თეატრში დასაბრუნებლად იბრძვის, თუმცა უშედეგოდ. მომღერალი იმასაც ამბობს, რომ მას სიმართლის გამო ვერ იტანენ.

რატომ გახდა ასეთი შინაარსის წერილის მიწერა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისადმი, რატომ სურს საქართველოდან წასვლა საოპერო მომღერალს და ვის არ სურს მისი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაბრუნება, ამ თემებზე საოპერო მომღერალი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**რევაზ ლაგვილავა:**

– ამ წერილის დაწერის სურვილი იმიტომ გამიჩნდა, რომ რაღაც ძალებს ჩემი თეატრში დაბრუნების სურვილი არ აქვთ. რაღაც ძალები ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. სულ ვფიქრობ, ნუთუ ეს 25 წელი არ გამიტარებია ამ თეატრის სცენაზე, ამდენი პარტიები არ მიმღერია, სამოქტავანახევარი ხმა არ მქონია თუ რა ხდება? ალბათ ეს ყველაფერი არის იმის მიზეზი, რომ რაღაც ძალებს არ აწყობს ჩემი თეატრში დაბრუნება. ვიცი, რომ ხელოვანი ხალხი ურევია ამ საქმეში, ყველას შეუნდოს ღმერთმა, მაგრამ ჩვენი მთავრობის პოზიცია მაკვირვებს. ესენი ვერშემჩნევის პოლიტიკას თამაშობენ და ეს მაოცებს. ვეუბნები, დაბრძანდით ჩემთან ერთად ტელევიზიაში და თბილისის ოპერის თეატრი რომ მძიმე მდგომარეობაშია, დაგიმტკიცებთ-მეთქი.

***– დიდი ხანია ამ დღეშია თბილისის ოპერის თეატრი?***

– მინიმუმ 10-12 წელია, თეატრი ამ მდგომარეობაშია. არც არავინ ხმას იღებს, მოვიდნენ და დამიმტკიცონ, რომ არ ვარ მართალი. გული შემტკივა ამ თეატრზე და არ მაქვს ამის უფლება?

***– სხვები ვერ ამჩნევენ?***

– თქვენ გგონიათ სხვები ვერ ამჩნევენ? ძალიან კარგადაც ამჩნევენ და ყველაფერიც იციან, მაგრამ ჩუმად არიან, ზოგს ეშინია, რამე არ უთხრან, ზოგს სამსახურის დაკარგვის ეშინია. თქვენ სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ თეატრის დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად არის მოყვანილი ამ თანამდებობაზე? რომ მოიყვანა მთავრობამ დღევანდელი ხელმძღვანელი ოპერის თეატრში, ეს ხომ ნეპოტიზმის შედეგია, რამდენჯერ უნდა ვთქვა?

ვაგნერის კონცერტი იყო რამდენიმე დღის წინ. ის სრულად ვერ პასუხობს ვაგნერის საშემსრულებლო ტრადიციებს, რომელიც სუფევდა 40-ოდე წლის წინ საქართველოში და ეს იყო გამარჯვება ქართული ვაგნერიანის. ხომ მიისწრაფიან ევროპისკენ, გააგზავნონ უცხოეთში ეს ჩანაწერი, მოასმენინონ სპეციალისტებს და ამით საქართველოს მთავრობა მიიღებს ზუსტ ინფორმაციას და ზუსტად შეაფასებს იმ ნაბიჯს, რომელიც ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის მოყვანაში გადადგა საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ. შეიძლება ვაგნერის საიუბილეო საღამო სამხედრო მარშების კონცერტს დაემგვანოს? აქ ვაგნერიანა იყო, გერმანელებმა დადგეს, გვარებიც მახსოვს და სახელებიც ვინც იმღერა. ჩვენს თეატრში დაიდგა „ლოენგრინი“ და „მფრინავი ჰოლანდიელი“. ცისანა ტატიშვილის სენტა არა მარტო ქართული ვოკალური ხელოვნების, არამედ მსოფლიო ვოკალური ხელოვნების კვლევის საგანია. ეს იყო ზეიმი ჩვენს თეატრში და ქართული ვაგნერიანა მაგას ერქვა.

მინდა აღვნიშნო ნიკოლოზ ლაგვილავას წარმატებული გამოსვლა ამ კონცერტზე, რომელიც თავისებური ესტაფეტა იყო იმ ვაგნერიანის, რაზეც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. მუზიცირებამ, ბგერის წარმართვის განსაკუთრებულობამ, ხაზი გაუსვა ვაგნერის მუსიკის იდუმალების უმაღლეს დონეზე წარმოჩენას, რითაც აღფრთოვანებული ვარ.

***– დიდი ხანია, რაც თეატრში დაბრუნებას ცდილობთ?***

– რამდენიმე წელია. სამი წელია თეატრში დაბრუნებას ვცდილობ. თავის დროზე იმიტომ წამოვედი თეატრიდან, რომ წინა მთავრობამ დამანგრია. ანგელა მერკელსაც მივწერე წერილი და რეალობაც აღვწერე. სამწუხაროდ, ახალმა მთავრობამ გაიმეორა ბევრი რამ ძველი მთავრობის მსგავსად.

***– დახმარებისთვის არავისთვის მიგიმართავთ?***

– ვაკის დეპუტატს ვურეკავ და ვეუბნები, ოპერის თეატრზე მინდა დაგელაპარაკოთ-მეთქი და მიპასუხა, რა დროს ოპერის თეატრია, ხალხს შიაო. იმ ქვეყანაში, სადაც პარლამენტის დეპუტატი ამას იტყვის, იქ ხალხს მართლა ეშიება და ამის გამომსწორებელი არავინ არის. ამასწინათ ჩამოვიდა ტემირკანოვის ორკესტრი და მთავრობიდან არავინ არ დაესწრო. ბოდიშით ამ სიტყვისთვის და „პაკაზუხობის“ გამო რომ მივიდნენ, იმათზე არ ვამბობ, ზედა ეშელონებზე,



ოფიციოზზე ვსაუბრობ. ოდიოზური პუტინი რომ არ მოსწონთ, ნახეთ, რეებს აკეთებს, ახალი ოპერის თეატრი გახსნა, ახალი მუზეუმები გახსნა, თეატრები გახსნა, იმიტომაც უყვართ პუტინი. ჩვენთან ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ორკესტრი ჩამოვიდა, ტემირკანოვი ჩამოვიდა და არავინ მივიდა. კომუნისტები დასანახად მაინც მოდიოდნენ და ესწრებოდნენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს. ეს სულიერება ვერ დააპურებს ხალხს. ამით კი არ ვორიგინალობ და ლამაზ სიტყვებს კი არ ვისვრი, ეს არის ფაქტი და სიმართლე, ამ თეატრს უნდა შველა. პირდაპირ გეტყვით, ვაგნერს როგორ უშვებენ საქართველოში რეზო ლაგვილავას გარეშე? მაგრამ ჩემი რესურსების პატრონის გარეშე ვაგნერს როგორ უშვებენ საქართველოში? თეატრის ხელმძღვანელობის საოპერო აზროვნება არის შედეგი ნეპოტიზმისა და უნიჭო ფავორიტების დაწინაურების, რაც აღვნიშნე.

ჯერ კიდევ ჩუმად ვარ, პასუხს ველოდები ინგლისიდან, იმასაც არ ვამბობ, რომ ისეთი პასუხი მომივა, ხალიჩებს დამიფენენ, მაგრამ მათი პასუხი მართლა ძალიან მაინტერესებს. საქართველოს მთავრობა უნდა მივიყვანო საჭირო კონდინციამდე. დღევანდელ სამხატვრო ხელმძღვანელს ვოკალის მტკიცებას და სწავლებას ვერ დავუწყებ, ეს სულ სხვადასხვა წონითი კატეგორიებია. მაგან თავის საცოდავ საქმეს მიხედოს. მთავრობას უნდა დავუმტკიცო, რომ მართალი ვარ და ვარ იმ ფორმაში, რომ ჩემს თეატრში ვიმღერო. ძალიან ბევრი მტვერი მიჭამია სცენაზე, პატარა ბიჭი ხომ არ ვარ, კარიერას ახლა რომ ვიწყებდე.

***– რამდენი ხანია, რაც უთეატროდ ხართ?***

– 8-9 წელია. წინა ხელმძღვანელობის დროს წამოვედი, იმიტომ, რომ ციხეს გადავრჩი. ჩემი ხასიათის პატრონი, აუცილებლად რაღაც სასწაულს ჩაიდენდა და ციხე არ ასცდებოდა. იმათმა დაანგრიეს თეატრი, ახლა კი, იმის მაგივრად, რომ გადამრჩენელი მოიყვანონ, საერთოდ არ ვიცი, ვინ მოიყვანეს.

***– რატომ მიმართეთ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, საქართველოსაც ხომ ჰყავს პრემიერ-მინისტრი?***

– გამოვედი ერთი ტელევიზიით, მეორე ტელევიზიით, ერთ გაზეთში დაიბეჭდა, მეორე გაზეთში დაიბეჭდა ჩემი გულისტკივილი. ვიცი, რომ ის უსმენს თავის საყვარელ კავკასიას. თუ თვითონ არ უსმინა, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა, მოუსმინე ერთი ამ კაცს, ამას რატომ ამბობსო?

***– როგორ?***

– ჯერ ველოდები პასუხს დიდი ბრიტანეთიდან. ანგელა მერკელს რომ მივწერე წერილი, პასუხი მომივიდა. ახლა მადლობის წერილი უნდა მივწერო. მათ უკვე გადასცეს ეს საკითხი გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საკითხის მოგვარება დაწყებულია.

***– ვთქვათ, საქართველოს პრემიერამდე ვერ მიხვედით, კულტურის მინისტრს რატომ არ შეხვდით?***

– კულტურის სამინისტრო არაკომპეტენტური ორგანოა. იგივე ნაყოფია ნეპოტიზმისა და ყალბი ფავორიტიზმისა, რაზეც უკვე ვისაუბრე.

***– ამას გაბრაზება გალაპარაკებთ?***

– ღმერთთან დაგიფიცებთ, რომ არანაირი გაბრაზება არ მალაპარაკებს. ეს გაბრაზება კი არა, ეს გულისტკივილია, შავის თეთრად წარმოჩენის მცდელობაა და უსამართლობის ნიმუში, რომელზეც ვიღაც ითბობს ხელს. ისინი ელირსნენ ჩემი თეატრიდან წამოსვლას, რა გზით, ამაზე არ ვილაპარაკებ. ოქროს წლები მიმაყვანინეთ ბოლომდე-მეთქი, მივწერე დიდ ბრიტანეთში. იცით ეს რას ნიშნავს? მიექანება დრო, ერთ მშვენიერ დღეს, თუ ჯანმრთელად გადარჩი, მაინც უნდა წამოხვიდე თეატრიდან.

***– რატომ გინდათ ასეთ გაუბედურებულ თეატრში დაბრუნება?***

– მინდა იმიტომ, რომ მთლად არ დაიღუპოს.

***– გყავთ თანამოაზრეები?***

– თანამოაზრეების მეტი რა მყავს. არის ახალგაზრდობა, რომელსაც შველა უნდა. მათი გადარჩენა ჩემნაირ და რამდენიმე უფროსი თაობის წარმომადგენელს შეუძლია, რომ მათ დაეხმარონ. თავის მოტყუებით ბევრი რამის თქმა შეგვიძლია, მაგრამ ეს ხომ არ იქნება სიმართლე?! ამბობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ არის გენიალურად, მაგრამ განა მართლა გენიალურადაა ყველაფერი? ჩემს თეატრზე გული შემტკივა, ვარ ასეთი ავადმყოფი, იმიტომ, რომ ჩემი საქმე მიყვარს. შემიძლია, ამ დასში რამდენიმე კაცი მივიყვანო ისეთ კონდიციამდე, რომ პროფესიონალურ საქმიანობას გაუძლონ. სიმართლის გამო ვერ მიტანენ. ხომ ხედავთ, თქვენც დაეჭვდით, გყავთ თანამოაზრეები თუ მარტო ხართო. გუგული და მამალივით სულ ქება მიდის, ტელევიზიებიდან სადღეგრძელოები ისმის. ეს არის პროვინციული სადღეგრძელოების ქვეყანა.

კარგით, ვაგნერი შეასრულეთ ორიანზე, თუმცა ხელოვნებაში სამიანიც და ოთხიანიც ორიანია, მაგრამ რომ ხსნიან განახლებულ ოპერისა და ბალეტის თეატრს, აბესალომი არ უნდა შესრულდეს ოთხიანზე? გავანებოთ თავი შვიდიანს და რვიანს, იყო დრო, ხუთბალიან სისტემაში რვიანზე სრულდებოდა აბესალომი. სულ არ მიმაჩნია, ისეთი ნიჭიერი ერი, როგორიც ქართველები არიან, თუნდაც იგივე ვაგნერს და პუჩინის არ ასრულებდნენ ისე, როგორც აბესალომს და სხვა ქართულ ნაწარმოებებს.

***– ორკესტრი როგორ ფორმაშია?***

– ორკესტრს საერთოდ არ ვერჩი. ორკესტრი იცით რის შთაბეჭდილებას ტოვებდა კონცერტზე? მათთვის დავალება არ მიუცია არავის, ნიჭიერი ხალხია, ნოტებში თავჩაქინდრულები უკრავდნენ. ვინც პულტთან იდგა და მოიფიქრა ამ კონცერტის ჩატარება, არ უნდა ჰქონდეს კონცეფცია, რატომ გადაწყდა საერთოდ ამ კონცერტის ჩატარება? ახლა ვერდის იუბილეს აღნიშვნაც არის დაგეგმილი.

***– წახვალთ ვერდის იუბილეზე?***

– კი, წავალ, ალბათ.

***– ხშირად დადიხართ თქვენი თეატრის ღონისძიებებზე?***

– არა, ხშირად არ დავდივარ, როცა ჩემი შვილი მღერის ხოლმე, მაშინ დავდივარ მხოლოდ.

***– იმედია ჩასაფრებული არ უსმენთ ხოლმე კონცერტებს.***

– ღმერთმა დამიფაროს. მოწაფეები მყოლია, თუ სადმე კონსერვატორიაში ხელფასი არ დამინიშნეს, კაპიკი არ ამიღია მოწაფისგან, იქით ვეძებ ხმიან ხალხს, ოღონდ მოვიდნენ, საქმე გააკეთონ. მაგრამ უნიჭობის მტერი ვარ, ესტრადის გემოვნებას რომ ამკვიდრებენ ჩვენს კლასიკურ სიმღერაში, ამის დაუძინებელი მტერი ვარ! პროფესიონალურ აზრს გეტყვით, სუნთქვაზე დაყრდნობილი ბგერის პრობლემაა ქართულ პროფესიონალურ სიმღერაში. ამას რომ ვამბობ, ე.ი. ჩასაფრებული ვარ? ღმერთმა დამიფაროს ასეთი საქციელისგან. რატომ მოვიყვანე ცისანა ტატიშვილის მაგალითი, ჩასაფრებული ვარ? მაშინ, გამოდის, კარგადაც ვყოფილვარ ჩასაფრებული. იქ არის რამდენიმე ბავშვი, რომლებიც მოვისმინე და მათი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება.

***– ახლა გყავთ მოსწავლეები?***

– ახლა არ მყავს მოსწავლეები.

***– როდის მიიღებთ პასუხს დიდი ბრიტანეთიდან?***

– ალბათ, მალე.

***– უკან რომ იხედებით, როგორია თქვენი შემოქმედებითი კარიერა?***

– შეიძლება ეს საკითხიც არ არის ვიღაცეებისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ ძალიან სერიოზული დასახელების ოპერები ასობით მაქვს ნამღერი, ზოგი ხუთიანზე, ზოგი ექვსიანზე, ზოგი ღამე არ გეძინა, ფორმაში არ იყავი, მაგრამ ამ შემთხვევაში, რეპერტუარზე მაქვს საუბარი. „რიგოლეტოში“ სამჯერ გამიმეორებია დუეტი, ასეთი რეკორდიც მომიხსნია, შეიძლება სხვასაც გაუკეთებია და მე არ მახსოვს. „ხაძიაში რიგოლეტოს“ მეძახდნენ.

კონვეირზე დამზადებული ღირსების ორდენით არ ვამაყობ, იმიტომ, რომ არ მაქვს, არც სადღეგრძელოებით არ ვამაყობ, ღონისძიებებიც არ მიყვარს. ჩემი ზეიმია ის სპექტაკლი, როცა ვმღერი, ეს არის ჩემი ცხოვრების წესი. უფალთან ვერავინ მიმიყვანს, ჩემი გზა მაქვს და არ მჭირდება არც შუამავლები და არაფერი. როგორც მოკვდავი ქრისტიანი, მეც ბევრი ცოდვა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ უფლის გარეშე ვერ ვიცხოვრებ, ამიტომ ცაში ვიხედები. ვიღაცას რომ იუბილე აქვს, გამრთობები „მერაპრიატიეებს“ უწყობენ და იქ თავი მოვიკლა, არ შემიძლია. ჭკუა არასოდეს არავისთვის დამირიგებია. ჩემს სპეციალობაში რომ ვხედავ უბედურებას, იმის წინააღმდეგ აუცილებლად გავილაშქრებ. თუ არ ვარ მართალი, გამოვიდნენ და მითხრან, რომ ვტყუი. დამისვან ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი და მითხრას, სოპრანო რა ხმაა, საიდან წარმოიშვა, რამდენი ტიპის სოპრანო არსებობს, რომელმა სოპრანომ რა პარტია უნდა იმღეროს. თუნდაც მეწვრილმანეობა დამაბრალონ, ჩემი სპეციალობის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ. ერთ გასაღებში მღერის თბილისის ოპერის თეატრში ტენორი და ბარიტონი. ეს ნორმალურია? კომპოზიტორმა რომ დაგიწერა ბანი და ბარიტონი, იმიტომ დაწერა, რომ ის ფაქტურა ორკესტრში უნდა შეავსოს ბანმა და ბარიტონმა. კომპოზიტორის ჩანაფიქრი მსმენელამდე სწორად უნდა მიიტანო. იმიტომ არის საჭირო სამხატვრო ხელმძღვანელად აუცილებლად მუსიკალურად განათლებული და სერიოზული პიროვნება. მთავარი დირიჟორი მოიყვანე, მუსიკალური საქმე ჩააბარე, მაგრამ დომინანტური სპეციალობა არის ვოკალი, ვოკალისტმა უნდა გაიგოს, ვინ რა უნდა იმღეროს.

კარგი, მარტო ვარ, განდიდების მანიით ვარ შეპყრობილი და ეული ვარ? მაშინ დამიმტკიცონ, რომ ვტყუი და ხმასაც არ ამოვიღებ. ლევან ანჯაფარიძემ კარგად თქვა, როცა მარტო ხარ, ამბობენ, რომ ინტრიგანი ხარო. ლევანმაც მარტო დაიწყო, მაგრამ მერე დაუდგნენ გვერდში სხვებიც. თვითონ ამბობს, რომ მეორე მხარესაც ჰყავს თანამოაზრეები. მთავრობა ქმნის ამ გაუგებრობებს, მაგრამ იცოდნენ, რომ არ ვარ მსუბუქი ლუკმა. კულტურის სამინისტროს ჰყავს მრჩეველთა საბჭო, იქ შესანიშნავი მუსიკოსებიც არიან და მინდა მათთან ერთად ვილაპარაკო ოპერის თეატრზე და დომინანტ სპეციალობაზე – ვოკალზე, რაც წამყვანი და ამოსავალია ოპერის თეატრში. ადამიანის ხმის ფიზიოლოგიაზე ვილაპარაკოთ, ოღონდ შემოქმედებით მხარეზე.

***– თქვენ გაქვთ იმედი, რომ თქვენს სიმართლეს დაამტკიცებთ?***

– რა დავამტკიცო? რომ სამოქტავანახევარი ხმა მაქვს, რომ დღეს სიმღერა შემიძლია, რომ „ფალსტაფის“ სიმღერას ვაპირებ? ეს დავამტკიცო? მომცემენ ის ქვეყნები ამის საშუალებას და დავამტკიცებ, აბა, სპორტის სასახლეში და სტადიონზე ხომ არ დავიწყებ რამის დამტკიცებას? ბრიტანეთიდან ველოდები პასუხს, თუ არადა, ისევ მივწერ წერილს ანგელა მერკელს, ბევრი რამ ახასიათებთ ერთნაირი წინა და ამ მთავრობასაც. ოდიშარიას ვუთხარი, ვთქვათ, მე და სამხატვრო ხელმძღვანელი ვერ ვეწყობით ერთმანეთს, მაგრამ ნუთუ იმდენი არ დამიმსახურებია 25 წლის განმავლობაში, რომ ჩემი ოქროს წლები ჩემს თეატრში ვიმღერო-მეთქი? ამის უფლება აღარ მაქვს? გაბრაზებულიც კი არ ვარ ამ პროვინციალიზმზე და ამ საშინელებაზე, უბრალოდ გულშეწუხებული ვარ.

იმედს ვიტოვებ, მიუხედავად უცხოეთიდან ინფორმაციისა, რომ შვილის ტოლი ევროპაგამოვლილი ახალი პრემიერ-მინისტრი მოუხმობს თავის მოქალაქეობრივ-ინტელექტუალურ მახასიათებლებს და მეტყვის, რომ ბატონო რეზო, მიბრძანდით თქვენს თეატრში და იმუშავეთ!

# მანჩესტერი-არსენალი: დიდი ჯახი ინგლისში

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.11 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 6.0 | 10.0 |
| 09.11 | ასტონ ვილა-კარდიფი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 09.11 | საუთჰემპტონი-ჰალი | 1.57 | 3.6 | 7.0 |
| 09.11 | კრ.პალასი-ევერტონი | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 09.11 | ლივერპული-ფულემი | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 09.11 | ნორვიჩი-ვესტ ჰემი | 2.6 | 3.25 | 2.7 |
| 10.11 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.5 | 4.33 | 6.0 |
| 10.11 | სანდერლენდი-სიტი | 7.5 | 4.75 | 1.4 |
| 10.11 | სუონსი-სტოკი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 10.11 | მანჩესტერი-არსენალი | 2.15 | 3.5 | 3.25 |

### ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი

ჩელსი: ***ტრავმ***-ფერნანდო ტორესი, რაიან ბერტრანდი, მარკო ვან გინკელი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბოაზ მუჰილი, ვიქტორ ანიშებე, ნიკოლას ანელკა, ზოლტან გერა, ბილი ჯონსი, ბენ ფოსტერი

### ასტონ ვილა-კარდიფი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ფაბიან დელფი, ანტონიო ლუნა, გაბრიელ აგბონლაჰორი, ანდრეას ვეიმანი, იორის ოკორე

კარდიფი: ***ტრავმ***-ანდრეას კორნელიუსი

### საუთჰემპტონი-ჰალი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-გული დო პრადო, დანიელ ოსვალდი

ჰალი: ***ტრავმ***-სონე ალუკო, ალექს ბრიუსი, ალან მაკგრეგორი, ჯეიმს ჩესტერი

### კრ.პალასი-ევერტონი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ადლინ გუდიურა, ჯონათან ულიამსი

ევერტონი: ***ტრავმ***-რომელუ ლუკაკუ, არუნა კონე, დარონ გიბსონი

### ლივერპული-ფულემი

ლივერპული: ***ტრავმ***-გლენ ჯონსონი, სტივ ჯერარდი, ხოსე ენრიკე, იაგო ასპასი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ "**მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება**" (პ.რიშარი) 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. "**მაფიოზი**" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.30 მხ/ფ "**სიზმრები**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბრიუსელი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40 ქრონიკა 10.05 სერ. "**ცივი გული**" 11.20, 12.05 სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" 1 სერ. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები (პ/ე) 00.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) 01.00 მხ/ფ "**კონტროლი**" (უ.დეფო)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**"22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 00.00 სერ. "**ექიმი ჰაუსი**". 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ "**ცისკრის ზარები**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05,18.05, 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ" 11.20 დოკ/ფ "ქართული ჭედურობა კვიპროსზე" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**უკანასკნელი ჯვაროსნები**" 13.00 ქართული მულტფილმი 13.20 დოკ/ფ "წმინდა 100000 მოწამე" 13.40 ნიამორი 14.00 მხ/ფ "**ბათა ქექია**" II ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 დოკ/ფ "თიხით მოუბარი" 16.20 კონცერტი -თეატრალური კვარტეტი 18.10 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" VI ნაწ. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**მიზანი**" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 "ზღვარზე" გად. IV 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "13 ასურელი მამის ნამოღვაწარი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ "რასელისტები" 01.50 დოკუმენტური ფილმი "მაჭახელა"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

## პარასკევი 15 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა"08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი**. 19 წლამდე ასაკის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი . **საქართველო** – **მოლდოვა** (პ/რ) 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.05 "შეხვედრები მცხეთაში" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ "**სამი სახლი**" 01.20 მხ/ფ "**გორილას განკურნება**"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთl. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 10.05 სერ. "**ცივი გული**" 11.20, 12.05 სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" 1 სერ. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 01.00 მხ/ფ "**მეცხრე ლეგიონი**" (დ.საზერლენდი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "მაჭახელა" 07.10 დოკ/ფ "რასელისტები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "13 ასურელი მამის ნამოღვაწარი" 11.00 "ზღვარზე" გად. IV 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**მიზანი**" I ნაწ. 13.30 ქართული მულტფილმი 13.40 დოკ/ფ "შორიელთა სიახლოვე" 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - ანს."დიდგორი" 17.05 კვირიაკე 18.10 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" V ნაწ. 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მოკ/ფ "**ბზიანეთი**" 19.35 მხ/ფ "**მიზანი**" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**მოკვეთილი**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

## შაბათი 16 ნოემბერი

08.00 ან/ფ "ორი ლოთხენი" 10.00 "პეპე და მეგობრები" 11.00 საბავშვო ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში 2013 – ელისო ვირსალაძე. 13.30 "საბავშვო ევროვიზიის დღიური" 14.00 რაგბი. ამხანაგური შეხვედრა. **საქართველო** – **ა.შ.შ** (პ/რ დინამო–არენადან) 16.30 "გურმანია" 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.00 "ეტალონი" 21.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ "**სტიკო**" 01.20 მხ/ფ "**მართალი საქმე**" (შ.კონერი)

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (პარ. გ/ჩვ) 12.00 მხ/ფ "**მიჩივლე**" 14.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 17.00 მხ/ფ "**ვინეტუ III**" 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ "**გაალეთ პოლიცია!**" 22.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 23.00 მხ/ფ "**კუნძული**" (ს.იონჰანსონი)

08.00 ან/ფ "ავატარი" 08.25 მხ/ფ "**კოლეჯის გზა**" 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 13.00 მისია სტუდენტი 14.30 ახალი ქართული ხმა 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "**კორკი რომანო**" (პ.ფალკი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ10.00 ეკი ვოკი. (გ/ჩ) 11.00 იღბლიანი ბორბალი. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**მიზანი**" II ნაწ. 13.20 დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - "**ლუკრეცია ბორჯა**" 17.30 საქართველოს ქალაქები 18.10 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" VI ნაწ. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 დოკ/ფ "ქართული კალათბურთი" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ "**ოქროს ციებ-ცხელება**"

მაესტრო 7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

## კვირა 17 ნოემბერი

08.00 საბ/ფ "**უკანასკნელი მიზეზი**" 10.00 "ეტალონი" 10.55 საბ ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 დ/ფილმი 14.00 ქარ. მხ/ფ "**ამბავი სურამის ციხისა**" (დრამა. რეჟ: ს. ფარაჯანოვი) 16.30 დ/ფ "რევოლუცია და მოდა" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**" (დ.ბერიმორი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 "სპექტაკლის დრო" – სპექტაკლი: "**რას მტრობას დაუნგრევია...**" 01.00 მხ/ფ "**სიყვარულის მანძილზე**" (დ.ბერიმორი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "დუბლინი" 09.00 "ბრიფინგის დრო" (საბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ "**ფანტომი სამოთხეში**" 11.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "საბერძნეთი-კრეტა" 12.00 "წელიწადის დრონის ფენომენი" 14.00 მხ/ფ "**ის ჩემზე უარესია**" (ა.ჩელენტანო) 16.00 დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" 17.00 მხ/ფ "**დამეები როდანტაში**" (რ.გირი) 19.00 დ/ფ "ეფლი" 19.45 მხ/ფ "**ოუშენის 13 მეგობარი**" (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 23.00მხ/ფ "**რისხვი 23**" (ჯ.კერი)

08.00 ან/ფ "ავატარი". 08.25 მხ/ფ "**რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ "**გარიგება**" 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 00.00 მხ/ფ "**შეუძლებელი**" (ი.მაკგრეგორი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55, 00.05 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 00.10 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.35 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი- 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" 13.40 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.15 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ "**ფესვები**" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "მიწის სჯული" 00.40 მხ/ფ "**რომაული არდადეგები**"

მაესტრო 7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30, 0.00 "მონიტორი/ ჟურნალისტური გამოძიება 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

# ციებ-ცხელება ტიმოშენკოს გარშემო

## დრო არ იცდის — ახსენებენ უკრაინის პრეზიდენტს ევროპელები

– 7 ნოემბერს უკრაინის პარლამენტს უნდა მიელო კანონი, რომელიც იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლას უზრუნველყოფდა. გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. სესია 8 ნოემბრისათვის გადაიდო, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ის, რომ პარლამენტი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, ბევრისათვის ნათელი იყო. საკომიტეტო მოსმენები ფაქტიურად ჩაიშალა, რეგიონების პარტიის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ. პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას" ლიდერმა ოლეგ ტიაგნობოკმა თავის ტელეინტერვიუში განაცხადა:

– მმართველი პარტიას დრო სპეციალურად გაჰყავს, რათა ვილნიუსის სამიტზე უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიკაცია ჩაიშალოს!

ტიაგნობოკის აზრით, სოჭში გამართული შეხვედრისას ვლადიმერ პუტინისა და ვიქტორ იანუკოვიჩს შორის საიდუმლო გარიგება შედგა. იანუკოვიჩიც ევროინტეგრაციის ჩაშლაზე შეგნებულად მიდის.

– სცენარი ნათელია. ისინი დროს მაქსიმალურად გაწელავენ. იულია ტიმოშენკოც ვილნიუსის სამიტის დაწყებამდე გისოსებს მიღმა დარჩება. ბუნებრივია, ეს დასავლეთის ლიდერებს აღაშფოთებს. უკრაინასთან შეთანხმებაც ჩაიშლება. იანუკოვიჩი განაცხადებს, აბა, რა ვქნა, ევროპას არ ვუნდივართო, – ამტკიცებს ტიაგნიბოკი.

მმართველი რეგიონების პარტია ასეთ შეფასებას არ ეთანხმება. პრეზიდენტი იანუკოვიჩი თავის ყველა გამოსვლაში აცხადებს, რომ ვილნიუსის სამიტის წარმატებაში დარწმუნებულია. კიევში ჩასულ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ვიქტორია ნულანდს უკრაინის პრეზიდენტმა განუცხადა, რომ არჩევანი უკვე გაკეთებულია და ეს ევროინტეგრაციის სასარგებლოდ მოხდა. ჟურნალისტებთან საუბარში ნულანდმა განაცხადა:



– მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. იანუკოვიჩმა აშკარად მიმანიშნა, რომ ევროინტეგრაციის კურსიდან არ გადაუხვევს.

ექსპერტები თვლიან, რომ ნულანდის კიევში ჩასვლა შემთხვევით როდი მოხდა. საქმე ის არის, რომ ზუსტად ამ დროს აშშ-ში კვლავ ამოტივტივდა ტიმოშენკოს ძველი პარტნიორის პავლო ლაზარენკოს გვარი. გამოჩნდა მასალები, თითქოს ტიმოშენკომ აშშ-ში დიდი ოდენობით ფული გაიტანა. ექსპერტ ვლადიმერ ფისენკოს აზრით, ყოველივე იმისთვის მოხდა, რომ ვილნიუსის სამიტის დღის წესრიგიდან ტიმოშენკოს საკითხი ამოვარდეს.

– ოფიციალური კიევი იმედოვნებს რომ აშშ-ის ხელმძღვანელობა ბრიუსელზე სათანადო ზეგავლენას მოახდენს, რათა საეჭვო რეპუტაციის მქონე ტიმოშენკოს გამო ევროკავშირთან შეთანხმება არ ჩაიშალოს, – თვლის ფისენკო.

რადიო „თავისუფლების" ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, იანუკოვიჩის გარემოცვაში პუტინის აგენტურა მოქმედებს. მათ დაარწმუნეს პრეზიდენტი, თითქოს შესაძლებელია აშშ-ის მხრდაჭერის მიღება, რათა ვილნიუსის სამიტის დღის წესრიგიდან ტიმოშენკოს საკითხი ამოვარდეს. ეს წასაგებად განწირული თამაშია. არც უკრაინას, არც იანუკოვიჩს ეს კარგს არაფერს მოუტანს, – თვლის პორტნიკოვი. მისი აზრით, პუტინს არა უკრაინის „საბაჟო კავშირში" ჩათრევა, არამედ უკრაინის დაშლა სურს. ამას მოსკოვი მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ახორციელებს.

– ვილნიუსის სამიტის ჩაშლის შემთხვევაში დარტყმის ქვეშ მხოლოდ იანუკოვიჩი არ მოექცევა. გაძლიერდება წინააღმდეგობა დასავლეთ-აღმოსავლეთ უკრაინას შორის, შეიქმნება ფონი, რათა ქვეყანა ნაწილებად დაიშალოს, – თვლის პორტნიკოვი.

უკრაინის პარლამენტში ტიმოშენკოს გათავისუფლების სამი კანონპროექტი დევს. ევროპარლამენტის მისია, რომელსაც კოქსი და კვასნევსკი უდგანან სათავეში, მხარს დამოუკიდებელი დეპუტატის ლაბუნსკაიას კანონპროექტს უჭერს, მაგრამ მმართველი რეგიონების პარტია ამის კატეგორიული წინააღმდეგია:

– ეს კანონპროექტი არანაირ იურიდიულ ჩარჩოებში არ ჯდება! – განაცხადა ტელეკომპანია: „ინტერთან" საუბარში რეგიონების პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელმა ეფრემოვმა.

რეგიონალების ლიდერები აცხადებდნენ, რომ დამოუკიდებელ დეპუტატ მიშჩენკოს კანონპროექტს უჭერდნენ მხარს, თუმცა შემდგომში ესეც შეიცვალა.

– სამივე კანონი არასრულყოფილია, აუცილებელია, შევქმნათ მუშა ჯგუფი და კომპრომისული ვარიანტი შევიმუშაოთ, – განაცხადა ტელეკომპანია „ინტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში ეფრემოვმა.

ამან ოპოზიციის აღშფოთება გააძლიერა:

– რეგიონალთა საპარლამენტო ფრაქცია დროს შეგნებულად წელავს. მოვუწოდებ უკრაინის პრეზიდენტს, აუცილებელი ნაბიჯი გადადგას და ევროინტეგრაციის ჩაშლა არ დაუშვას, – განაცხადა „ინტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში ოპოზიციური „ბატკივშჩინას" ლიდერმა არსენი იაცენიუკმა.

ასეთი ვითარება იყო 7 ნოემბრამდე. საკომიტეტო მოსმენებზე კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. მმართველი პარტია პროკურატურის შესახებ კანონის მიღებას მოითხოვდა, ოპოზიცია კი, პირიქით, აქცენტს ტიმოშენკოს გათავისუფლებაზე აკეთებდა. 7 ნოემბრის სესიაც ფრიად ორიგინალურად დაიწყო. დეპუტატი-კომუნისტები მასზე, უბრალოდ, არ გამოცხადდნენ.

– მათ ხრიშჩატიკზე ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი აღნიშნეს, – იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი".

კომპარტიის ლიდერი სიმონენკო აცხადებდა, ქუჩაში ასეულობით ათას ადამიანს გამოვიყვანო. თუმცა, როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო, ნათქვამია. მართალია, კომუნისტების ბელადმა თავის პარტიაში სრული მობილიზაცია გამოაცხადა, მაგრამ მხოლოდ 700-800 ადამიანის გამოყვანა შეძლო. კომუნისტებმა წითელი დროშებითა და ლენინის პორტრეტებით კიევის ცენტრში ჩაიარეს. ტრანსპარანტებზე ეწერა: „მოვითხოვთ უკრაინის რუსეთ-ბელორუს-ყაზახეთის კავშირთან შეერთებას", „გაუმარჯოს ერთიან ძმურ კავშირს" და ა.შ.

– რამდენიმე საათის შემდეგ წითლები დაიშალნენ. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

თავის მხრივ, ევროპის მოედანზე პატრიოტული ძალების მომხრენი შეიკრიბნენ. მათი რიცხვი 3-5 ათასს აღემატებოდა. შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართეს ვიტალი კლიჩკომ, ოლეგ ტიაგნობოკმა, არსენი იაცენიუკმა. შემდეგ მრავალათასიანი მსვლელობა პარლამენტისკენ დაიძრა. „არ დავუშვებთ ევროინტეგრტაციის ჩაშლას", „ძირს მესაბოტაჟეები", – ეწერა ტრანსპარანტებზე. ქუჩაში ათასობით ადამიანის გამოსვლამ ხელისუფლებაზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა. იანუკოვიჩმა ბოლოს და ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება და პრორუსულად განწყობილი ოდესის ოლქის გუბერნატორი ედუარდ მატვიიჩუკი თანამდებობიდან გაათავისუფლა. პარლამენტის სპიკერმა რიბაკმა კი განაცხადა, რომ რადა ყველა ევროინტეგრაციულ კანონპროექტს აუცილებლად განიხილავდა. პარლამენტის სხდომაზე, რომელიც კიევის დროით 18 საათზე იყო დანიშნული, კოქსი და კვასნევსკი, აგრეთვე ტიმოშენკოს ქალიშვილი ევგენიაც მივიდნენ. მიუხედავად ამისა, კვორუმის არარსებობის გამო სხდომის ჩატარება მაინც ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, პარლამენტის სპიკერი კოქსისა და კვასნევსკის შეხვდა. საუბარმა თითქმის სამ საათს გასტანა.

– ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ვილნიუსის სამიტზე უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდეს, – განუცხადა ჟურნალისტებს რიბაკმა, – მართალია, დღეს სხდომის ჩატარება ვერ მოხერხდა, მაგრამ დიალოგი გრძელდება.

– უკრაინელი ექსპერტები თვლიან, რომ იანუკოვიჩი ახლა საკუთარი პრესტიჟის გადარჩენისათვის იბრძვის. ექსპერტ იულია მაშჩენკოს აზრით, ვიქტორ ფიოდოროვიჩი მისი გარემოცვის ცალკეულმა წარმომადგენლებმა დაარწმუნეს, რომ ვილნიუსის სამიტზე წარმატების მიღწევა ტიმოშენკოს გათავისუფლების გარეშეც შეიძლება.

– ახლა უკვე ცხადია, რომ ეს ასე არაა. იანუკოვიჩიც ცდილობს, ტიმოშენკო ციხიდან იმგვარად გამოუშვას, რომ მაქსიმალური ქულები ჩაიწეროს, – აღნიშნა მაშჩენკომ.

ტელეკომპანია „ინტერის" ცნობით, კოქსისა და კვასნევსკისთან შეხვედრისას უკრაინის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროინტეგრაცია შეუქცევადია. იანუკოვიჩმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ტიმოშენკოს გათავისუფლებით ყველაზე მეტადა თვითონაა დაინტერესებული. საუბრის დასასრულს პრეზიდენტმა განაცხადა: პარლამენტის სპიკერსა და ჩვენი ფრაქციის ხელმძღვანელს პირადად დავურეკავ, რათა პრობლემის გადაჭრა არ გააჭიანურონო.

– აქამდე იანუკოვიჩს მსგავსი რამ არასოდეს უთქვამს, – იტყობინება „ინტერი".

8 ნოემბრის სესიაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. მმართველი პარტია კვლავ პროკურატურის რეფორმირების კანონის მიღებას მოითხოვდა, ოპოზიცია კი აქცენტს ტიმოშენკოზე აკეთებდა. ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ ტიმოშენკოსთან დაკავშირებით ნებისმიერ კომპრომისზე თანახმანი იყვნენ, ახალი კანონპროექტიც წარმოადგინეს. მმართველ პარტიას არაფრის გაგონება არ სურდა. პარლამენტის სპიკერმა რიბაკმაც სხდომა შეწყვიტა და ფრაქციის ხელმძღვანელები თავის კაბინეტში კონსულტაციებზე დაიბარა. ექსპერტები კი შექმნილი ვითარების გარშემო გაცხოველებით მსჯელობდნენ. პოლიტოლოგ ვადიმ კარასიოვის აზრით, ტიმოშენკოს პრობლემა, სავარაუდოდ, 10-12 ნოემბერს გადაწყდება. მისი კოლეგა ბონდარენკო უფრო პესიმისტურადაა განწყობილი.

– პარლამენტმა ტიმოშენკოს პრობლემა რომც გადაწყვიტოს, ვილნიუსის სამიტამდე მისი გათავისუფლება ველარ მოესწრება. გასავლელია რიგი პროცედურები: უნდა დაიდოს ხელშეკრულება უკრაინა-გფრ-ს შორის და ა.შ. ამას კი დრო სჭირდება.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის არსენი იაცენიუკის აზრით, სანამ რეგიონების პარტია ხელისუფლებაშია, ევროკავშირთან შეთანხმების რატიფიცირება არ მოხდება. იაცენიუკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „გაზპრომი" უკრაინის წინააღმდეგ სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელს ამზადებს. იანუკოვიჩის ხელისუფლებაც მზადაა, ევროინტეგრაცია შეაჩეროს, რათა რუსეთთან შემდგომი გამწვავება არ დაუშვას, – თვლის იაცენიუკი, გაზეთ „შლიახ პერემოგში" კი გამოქვეყნდა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ მმართველი ძალა მოსკოვთან გარიგებისაკენ მიისწრაფვის. შესაბამისად, უკრაინული ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციაც სათანადო კონტრაქციებისათვის მზად უნდა იყოს. კოქსი და კვასნევსკი კი, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ უკანასკნელი ვადა მომავალი კვირის ოთხშაბათია. 14 ნოემბერს მისიამ უკვე თავისი ანგარიში უნდა წარმოადგინოს, 18 ნოემბერს კი ევროკავშირის წევრი ქვეყნები უკრაინასთან ასოცირების თაობაზე შეთანხმების ბედს საბოლოოდ გადაწყვეტენ.

– თუკი იმ დროისათვის ტიმოშენკო კვლავ ციხეში დარჩა, სავარაუდოდ, შეთანხმების რატიფიცირება არ მოხდება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

როგორც პოლიტიკოსები, ისე ექსპერტები ახლა მთავარ იმედს პრეზიდენტზე ამყარებენ. ეყოფა იანუკოვიჩს გამბედაობა, რათა ტიმოშენკო შეიწყალოს? ახლა ამაზე ქვეყნის ბედია დამოკიდებული.

**ნიკა თევზაძე**

# შალვა ფიფია ისრაელის ელჩს შეხვდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, ისრაელის სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, იუვალ ფუქსს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ისრაელში ვიზიტი შეაჯამეს და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს, – აცნობეს „მედიანიუსს" სოფლის მეურნეობის სამინისტროდან.

„ისარელთან თანამშრომლობა და მისი გამოცდილების გაზიარება აგრარულ სექტორში მეტად მნიშვნელოვანია. ისრაელის მხარე მზად არის მარშავის მიმართულებით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისთვის სასწავლო პროგრამები განახორციელოს , მათ შორის საქართველოში კოოპერაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით. ურთიერთთანამშრომლობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია 20-22 ნოემბერს დაგეგმილი ტექნოლოგიური გამოფენა , რომელშიც ებრაული კომპანიების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას,"-განაცხადა შალვა ფიფიამ.

ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა თანამშრომლობის გაღრმავებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ებრაული მხარე მზად არის ჩაერთოს სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებში და გაუზიაროს ქართულ მხარეს საკუთარი გამოცდილება კოოპერატივების განვითარების კუთხით.

**მედიანიუსი**

# სნოუდენმა ბრიტანეთის უსაფრთხოებას ზიანი მიაყენა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ის პირები, რომლებმაც სნოუდენს საკუთარი პაროლი გაანდეს უკვე დაჰკითხეს და თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ცენტრში, რომელიც ჰავაიზე მდებარეობს, სნოუდენი ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა, სადაც მან 20-25 თანამშრომლის დარწმუნება შეძლო, რათა მისთვის პაროლები გაემხილათ. შეგახსენებთ, რომ სნოუდენი ივნისში ჰონგ-კონგიდან მოსკოვში ჩაფრინდა და აგვისტომდე შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იმყოფებოდა. აგვისტოში რუსეთმა მას დროებითი თავშესაფარი მიანიჭა.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ბიჭიკო აბაშიძის გახსენება

ჩვენი დიდი ოჯახის უსაყვარლესო ადამიანო – ჩვენო ბიჭიკო! პირველად ვხვდებით უშენოდ 9 ნოემბერს – შენს დაბადების დღეს. შარშან, ოთხმოცი წლის იუბილეზე, სამადლობელ სიტყვაში თქვი, მეცხრე ათეულს კი ვიწყებ, მაგრამ დამთავრებას ვერ შეგპირდებითო. ოთხი თვის შემდეგ დატოვე აქაურობა და მარადისობაში გადასახლდი, ორიოდე თვის შემდეგ კი შენი დიდი გვარის გამგრძელებელი, შენი სისხლი და ხორცი, შენი შვილთაშვილი – გიორგი აბაშიძე მოევლინა ამ ქვეყანას, მალევე შენი სახელისა და გვარის მოზიარემ, საყვარელმა შვილიშვილმა, ბიჭიკო აბაშიძემ სიყვარულით აღსავსე ოჯახი შექმნა. ყველას ძალიან გვენატრები. იძინე მშვიდად. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. გპირდებით, კვლავ გვეყვარები, ვიამაყებთ შენით, არ მოგაკლებთ ხსენებას, ცრემლს, სანთელს, ლოცვას...

**მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ახლობლები**

„ღვედაშვილების საგვარეულო კავშირი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**რიუზან (როზა) იროდას ასულ ღვედაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ განათლებისა და კულტურის მინისტრს, ბატონ დიმიტრი ჯაიანს დეიდის

**ხუნტული დგებუაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლუდის დანალექი, გამონახარში; 2. მოძრავი სცენა თეატრში; 3. ქართული ტელეკომპანია; 4. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 5. სრულყოფილი ფორმების, მშვენიერების მოტრფიალე; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება, დაცემა; 10. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილების ადამიანი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 14. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 16. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა.

**თარაზულად:** 1. უბანი ძველ თბილისში; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 12. ქართველი მეცნიერი ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 13. ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 14. დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 17. მოყვითალო-სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 18. გეომეტრიის ნაწილი; 19. ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომეში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჟოქო; 2. აბული; 3. ფხოვი; 5. ლოგიკა; 6. სქოლიოზი; 9. აბასთუმანი; 10. ვაშლოვანი; 11. პოლიფონია; 14. გზა; 16. ჩიტაია; 18. საკი.

**თარაზულად**: 1. ჟაკარი; 4. ვილნიუსი; 7. სულიკო; 8. ვაქცინა; 12. ჰალვა; 13. ეგეოსი; 15. ოლანდი; 17. ომი; 19. პანჩატანტრა; 20. სიმდი; 21. ბილონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კოდა; 2. ასთმა; 3. აკაჟუ; 4. პეპსი; 5. კორომი; 6. სანიკიძე; 8. კრონპრინცი; 10. სანგვინიკი; 11. კაბისტონი; 14. ეგზემა; 15. ერზაცი; 16. დოგმა.

**თარაზულად**: 1. კატანია; 4. პეკინესი; 7. დენთი; 9. პულსი; 12. ვირუსი; 13. ფობია; 14. ემბაზი; 17. ტიბეტი; 18. სფიგმოგრამა; 19. ლიგნიტი; 20. ბაგები.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6737

ევრო — 2,2607

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,695

100 რუსული რუბლი — 5,1576

## ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისთვის




# 12 ნოემბრიდან ქართული დეტექტივი

## ტომი 3

## იორამ ჩადუნელი

# საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.




რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

## უკვე გამოსულია

ტომი 1 .................... მგლის ბილიკი

ტომი 2 .................... შავი ვარდი

# ფაჩულია „მართვეს“ დაეხმარება




„მილუოკი ბაქსის“ ქართველი ცენტრფორვარდი ზაზა ფაჩულია თავის ბავშვობის კლუბს, „მართვეს“, საჩუქარს უმზადებს. ამერიკული პრესის ცნობით, ფაჩულია მილუოკელთა საშინაო არენის, „ჰარის ბრედლი ცენტრის“ საფარის ყიდვას და თბილისში ჩამოტანას აპირებს.

სეზონის წინ მილუოკელთა ხელმძღვანელობამ დარბაზში საფარის გამოცვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოუვიდათ და წინასასეზონო ბოლო მატჩი ჩაიშალა. ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ ძველი საფარი დააგო და ახლის შეკეთებას შეუდგა, რომელიც მალე მზად იქნება დასაგებად. სწორედ ძველ საფარს ყიდულობს ფაჩულია.

– ფაჩულია მილუოკელთა ძველ საფარს ყიდულობს. ზაზა ამას იმიტომ აკეთებს, რომ მერე ეს საფარი „მართვეს“ აკადემიას გადასცეს სამშობლოში, სადაც მან ბავშვობაში კალათბურთის თამაში დაიწყო. სხვათა შორის, „ბრუკლინ ნეტსის“ თორნიკე შენგელიაც იქ აღიზარდა. ზაზამ იქ დაახლოებით 20 წლის წინ ვარჯიში დაიწყო და როცა ამ ზაფხულს მოინახულა, გაკვირვებული დარჩა, რადგან იგივე საფარი დახვდა, – წერს ამერიკული პრესა.

– დარბაზი, სადაც ვარჯიში დავიწყე, მართლაც ცუდად გამოიყურებოდა. ჩემი ოცნებაა, იქ ბავშვებმა კალათბურთი ნბა-ს გუნდის პარკეტზე ითამაშონ. მინდა, ეს ოცნება ავასრულო, – ეს უკვე ფაჩულიას სიტყვებია.

# სნოუდენმა ბრიტანეთის უსაფრთხოებას ზიანი მიაყენა




აშშ-ის სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლის, ედვარდ სნოუდენის მიერ გამჟღავნებულმა ინფორმაციამ ზიანი მიაყენა დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოებას, – ამის შესახებ ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის მი-6-ის შეფმა, ჯონ სოუერსმა პარლამენტში განაცხადა.

მისი თქმით, სნოუდენის მიერ გაცემულმა ინფორმაციებმა საფრთხის ქვეშ დააყენა სპეცსამსახურების ოპერაციები.

ჯონ სოუერსმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მოწინააღმდეგები „ალ-ქაიდაში“ კმაყოფილები არიან სნოუდენის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციების გაცნობით.

ჯონ სოუერსის გარდა, ბრიტანეთის პარლამენტის წევრების წინაშე მოხსენებებით ქვეყნის კიდევ ორი დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი წარსდგა.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, მათი პარლამენტში გამოჩენა სნოუდენთან დაკავშირებულ სკანდალს უკავშირდება.

თავის მხრივ, როგორც „როიტერი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, ედვარდ სნოუდენი ჰავაის სადაზვერვო ბაზაზე საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად მისი კოლეგების პაროლებს იყენებდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. ანტონიო გაუდის პროექტით გაშენებული პარკი ბარსელონაში; 3. ჩეხეთის დედაქალაქი; 5. ოპერა „კარმენის“ პერსონაჟი; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. აფრიკული ანტილოპა; 16. ისტორიული კუთხე შავი ზღვის სანაპიროზე, ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში; 18. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი.

**თარაზულად:** 1. შუა აზიასა და ირანში გავრცელებული გარეული ვირი; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 7. მზის სისტემის პლანეტა; 8. მსხვილად დაფქული სიმინდის მარცვალი; 12. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 13. კანის ანთებითი დაავადება; 15. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. კომში ანუ ...; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. იტალიური საავტომობილო კონცერნი; 21. რომან „დიდოსტატის მარჯვენის“ პერსონაჟი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ასტროპროგნოზი

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### 9 ნოემბერი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ პროვოკაციას, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **მორიელი** – შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ. **მშვილდოსანი** – დღეს ბედნიერი დღე გაქვთ, საწადელს აისრულებთ. **თხის რქა** – ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერი კარგად იქნება. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – კარგი ახალი ამბავი დიდ ფულს მოგიტანთ.

### 10 ნოემბერი – ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** – მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **კურო** – ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **კირჩხიბი** – თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ! **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – სახლში სასიამოვნო შეხვედრა გელით, დიდი ხნის უნახავი ადამიანი გეწვევათ. **სასწორი** – თავს კარგად გრძნობთ, ყურადღების ცენტრში ხართ. **მორიელი** – წარმატებული დღეა, ყველაფერი კარგად მიდის. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **თევზები** – არ აჩქარდეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# ჰენრიხ მხითარიანი: „საფეხბურთო ოჯახიდან ვარ“

სომხეთის ნაკრების ფეხბურთელი ჰენრიხ მხითარიანი დორტმუნდის „ბორუსიას“ ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი გახდა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მისით გერმანიაში ძალიან არიან დაინტერესებული და მაქსიმუმს ითხოვენ. მხითარიანიც დორტმუნდელთა იმედებს ამართლებს და გერმანული პრესა წერს, რომ მხითარიანმა დორტმუნდის პუბლიკას მარიო გიოტცე დაავიწყა.

მასთან ინტერვიუ გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა.

*– მოედანზე ძალიან ბევრს მოძრაობთ, მაგრამ მატჩის მინურულს დაღლილი არასდროს ჩანხართ.*

– ეს კითხვა, ალბათ, ჩვენს ფიზიოთერაპევტს უნდა დაუსვათ.

*– გარბენის შემდეგ მოხდენილი და ჭკვიანური პასის გაკეთებას ბევრი ვერ ახერხებს.*

– ჩემი ფეხბურთიც ეგაა – ბევრი ვირბინო და პასები ვარიგო. მუდმივად მოძრაობაში უნდა ვიყო, რადგან გუნდს სხვაგვარად ვერ დავეხმარები. ყველაზე მთავარი პასის მიცემის მომენტის შერჩევაა. მაგალითად, „შტუტგარტთან“ მატჩის დროს დავინახე, რომ რობერტ ლევანდოვსკიმ იაკუბ ბლაშჩიკოვსკის დერეფანი გაუხსნა და უკვე ვიცოდი, ვისთვის და როგორი პასი უნდა მიმეცა. იმისათვის, რომ ასეთი მომენტი არ გამოგეპაროს, მოედანს იმ დროსაც უნდა აკონტროლებდე, როცა გარბიხარ.

*– ბოლო სამი მატჩი საუკეთესო იყო იმ შეხვედრებს შორის, რომელიც „დორტმუნდის“ მაისურით ჩაატარეთ. შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესლიგას, „ბორუსიას“ უკვე სრულფასოვნად გაუშინაურდით?*




– პროგრესი და წინსვლა არასდროს უნდა შეწყვიტო. ის, რაც ამ შეხვედრებში მოვახერხე, ჩემთვის უკვე წარსულია და ყოველი მატჩის შემდეგ მომდევნო თამაშზე ფიქრს ვიწყებ. იმედი მაქვს, რომ ყოველი თამაშის შემდეგ უფრო უკეთესი ფეხბურთელი ვხდები. მინდა, ფეხბურთში ყველაფერი ვისწავლო და ნასწავლი „დორტმუნდს“ მოვახმარო.

*– რატომ აირჩიეთ დორტმუნდის „ბორუსია“? თქვენ ხომ ინგლისიდანაც კარგი წინადადებები გქონდათ?*

– შემოთავაზება მართლაც ბევრი იყო. არჩევანი „დორტმუნდის“ სასარგებლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ ძალიან მომწონს ის ფეხბურთი, რომელსაც იურგენ კლოპის გუნდი თამაშობს. „შახტარისა“ და „ბორუსიას“ პირველივე მატჩის შემდეგ „დორტმუნდი“ ისე მომეწონა, რომ ამ გუნდის ყველა თამაშს ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ „ბორუსია“ არა მარტო ფანტასტიკურ, არამედ ზუსტად ისეთ ფეხბურთს თამაშობდა, როგორიც მე მიყვარს. როცა დამიკავშირდნენ, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს ზუსტად ის გუნდი იყო, რომელშიც უფრო გავიზრდებოდი.

*– თუმცა, ინგლისში გადასვლის შემთხვევაში, გაცილებით მაღალი ხელფასი გექნებოდათ.*

– შესაძლოა, მაგრამ ფეხბურთში ფული არც ისე მნიშვნელოვანია. სწორად გამიგეთ, ბევრი ფული და კარგი ხელფასი მეც მიყვარს, მაგრამ ეს ყველაზე მთავარი არ არის. თანაც, დაბალი ანაზღაურება „დორტმუნდშიც“ არ მაქვს. მე ფეხბურთით ვცხოვრობ, ყოველთვის ფეხბურთზე ვფიქრობ და ფეხბურთს ვგრძნობ. თუ მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრებ, კარგადაც ვითამაშებ და, თუ კარგად ვითამაშებ, თავისთავად ბევრი ფული მექნება. დორტმუნდში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედი და არა სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად. დიდი შანსი იყო, რომ ინგლისში სკამზე ვმჯდარიყავი.

*– ბავშვობა საფრანგეთში გაქვთ გატარებული, სადაც მამა, ჰამლეტ მხითარიანი ასევე ფეხბურთელი იყო. თქვენც ამიტომ მოგინდათ ფეხბურთელობა?*

– საფრანგეთში შვიდი წელი ვიცხოვრეთ. მერე მამა ავად გახდა და სომხეთში დავბრუნდით. მამა 1996 წელს ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა... საფრანგეთში გატარებული წლები ძალიან კარგად მახსოვს. როცა მამაჩემი ვარჯიშზე წასასვლელად ემზადებოდა, კართან ავიტუზებოდი ხოლმე და წაყვანას ვთხოვდი. ხან მივყავდი ხოლმე, ხან – არა. ეშინოდა, ვარჯიშის დროს რამე სისულელე არ ჩამედინა. სომხეთში რომ დავბრუნდით, ვუთხარი, მეც ფეხბურთელი უნდა გამოვიდე-მეთქი. მაშინ ეს ჩემი მხრიდან აშკარად ხმამაღალი განცხადება იყო, რადგან ძალიან პატარა ვიყავი. ჩემზე ამბობდნენ, კარგი ტექნიკა აქვს, მაგრამ ძალიან სუსტიაო. სამწუხაროდ, მამაჩემი ჩემს ფეხბურთელობას ვერ მოესწრო და ვერ გაიგო, რომ ეს მართლა შევძელი.

*– მამა თქვენთვის მისაბაძი მაგალითი იყო?*

– დიახ და მე მისი გზა გავაგრძელე. ფეხბურთი ჩვენს ოჯახში ყოველთვის მთავარი თემა იყო. დედაჩემი ჯერ კიდევ მაშინ მუშაობდა სომხეთის ფეხბურთის ფედერაციაში და მოგვიანებით იქ მუშაობა ჩემმა დამაც დაიწყო, ახლა კი ის უეფაში მუშაობს. ასე რომ, საფეხბურთო ოჯახი ვართ.

*– გერმანიაში სომხეთის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. დამოუკიდებელი ქვეყნის რანგში თქვენი სამშობლო თქვენზე ახალგაზრდაა.*

– 22 წელია, რაც სომხეთი დამოუკიდებელია, მაგრამ ჩვენ ძალიან ძველი ერი ვართ, გვაქვს უდიდესი ისტორია და უძველესი კულტურა. სომხეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. სამწუხაროდ, დღეს სომხეთში სოციალური პრობლემებია. ხალხს ისეთი დაბალი ხელფასები აქვს, რომ კვებისა და ჩაცმისთვისაც ძლივს ჰყოფნის.

*– თქვენ სამჯერ გახდით სომხეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელი. სამშობლოში გმირი ხართ.*

– ასე არ ვფიქრობ, რადგან საგმირო არაფერი გამიკეთებია. უბ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე